ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №36 (2409) პარასკევი, 14 თებერვალი, 1997 წელი. ფასი 40 თეთრი. თბილისის გარეთ 45 თეთრი.

## ...იდევ უფრო მტკიცდება საქართველოსა და ...კრაინის ტრადიციულად მეგობრული ურთიერთობა

...უშინ, 13 თებერვალს, დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის ოფიციალური ვიზიტი უკრაინაში

...ართველოსა
...უკრაინას
...რის
...ადიციულად
...ობრული
...თიერთობისა და
...ნამშრომლობის
...რმავებასა და
...მტკიცებას
...ხავს მიზნად
...ართველოს
...ეზიდენტის
...უარდ
...არდნაძის
...ციალური
...იტი უკრაინაში,
...მელიც გუშინ,
...თებერვალს,
...ადღევს
...იწყო.
...თან ერთად
...მგზავრა
...ართველოს
...ციალური
...ლეგაცია
...ელმწიფო
...სტრის ნიკო
...იშვილის
...მძღვანელობით.



საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის და უკრაინის პრეზიდენტის ლეონიდ კუჩმას შეხვედრა პირისპირ.

*საქინფორმის სპეციალურმა კორესპონდენტებმა მაია ალუდაურმა და ნოდარ ბროლაძემ გუშინ კიევიდან გვაცნობეს:*

მისთვის ჩვეული კეთილმოსურნეობით შეეგება უკრაინა საპატიო სტუმარს. კიევის „ბორისპოლის“ აეროპორტში ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები უკრაინული ადათისამებრ პურითა და მარილით დახვდნენ საქართველოს პრეზიდენტს.

თვითმფრინავის კიბესთან ედუარდ შევარდნაძეს მიესალმნენ უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი გენადი უდოვენკო, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ანატოლი კასიანენკო, სხვა ოფიციალური პირნი.

აეროპორტიდან საქართველოს პრეზიდენტი საპატიო ესკორტის თანხლებით მისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში გაემგზავრა.

დღესვე საქართველოს პრეზიდენტი შეხვდა უკრაინის პრეზიდენტს ლეონიდ კუჩმას. შეხვედრას წინ უძღოდა კიევის „მარიინის“ სასახლეში გამართული საქართველოს პრეზიდენტის დახვედრის ოფიციალური ცერემონია. უკრაინის პრეზიდენტი „მარიინის“ სასახლის შესასვლელთან შეეგება ედუარდ შევარდნაძეს. საპატიო ყარაულის უფროსმა პატაკი ჩააბარა საქართველოს პრეზიდენტს. შესრულდა საქართველოსა და უკრაინის სახელმწიფო ჰიმნები.

ცერემონიის დასასრულის შემდეგ დაიწყო ოფიციალური ვიზიტის საქმიანი ნაწილი.

ორი სახელმწიფოს მეთაურთა პირისპირ ხანგრძლივი საუბრის პარალელურად გაიმართა საქართველოსა და უკრაინის დელეგაციათა სამუშაო შეხვედრა. დელეგაციებს ხელმძღვანელობენ: საქართველოს მხრივ — სახელმწიფო მინისტრი ნიკო ლეკიშვილი, უკრაინის მხრივ — უკრაინის პრემიერ-მინისტრი პაველ ლაზარენკო.

მოგვიანებით გაიმართა ორი ქვეყნის პრეზიდენტების შეხვედრა ოფიციალურ დელეგაციათა გაფართოებული შემადგენლობით.

* * *

საღამოს საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის პატივსაცემად უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ გამართა ოფიციალური სადილი, რომლის შემდეგაც საქართველოს პრეზიდენტს თავიანთი ოსტატობა აჩვენეს უკრაინის ხელოვნების ოსტატებმა

* * *

საქართველოს პრეზიდენტი ვიზიტის განმავლობაში შეხვდება უკრაინის უმაღლესი რადას თავმჯდომარეს ალექსანდრე მოროზს, უკრაინის პრემიერ-მინისტრს პაველ ლაზარენკოს, ესტუმრება უკრაინის პატონის სახელობის ელექტრული შედუღების სამეცნიერო შემოქმედებით გაერთიანებას.

პარალელურად, ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებულია საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრ მინისტრთა სამუშაო შეხვედრები უკრაინელ კოლეგებთან.

ოფიციალური ვიზიტის დროს დაგეგმილია ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის კონკრეტულ სფეროებში ხელშეკრულების ხელმოწერა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

**სერგო ედიშერაშვილის**
ტელეფოტო
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

*უკრაინაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის ამსახველ ვრცელ მასალებს „საქართველოს რესპუბლიკის“ მომდევნო ნომრებში შემოგთავაზებთ.*

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1997 წლის 13 თებერვალი ქ. თბილისი

**საქართველოს განათლების სამინისტროს დაწყებითი პროფესიული განათლების სასწავლებლების თანამშრომელთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს პროფესიული სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზის შენარჩუნების, განვითარების, მოსწავლეთა პროფესიული დაოსტატებისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის საქართველოს განათლების სამინისტროს დაწყებითი პროფესიული განათლების სასწავლებლების თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს ორდენებითა და მედლებით:

**ღირსების ორდენით:**

**იოსებ ბუაჩიძე** — თბილისის მრავალდარგოვანი ლიცეუმის სასწავლო ნაწილის გამგე;
**ეთერ სოლომონია** — თბილისის პროფესიული ლიცეუმის დირექტორი.

**ღირსების მედლით:**

**იური ბენია** — გარდაბნის მრავალდარგოვანი ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი;
**ანზორ ნუცუბიძე** — თბილისის ხის მხატვრული დამუშავებისა და მეავეჯეთა საოსტატო ლიცეუმის დირექტორი;
**ვასილ სალლიანი**— მ. თოიძის სახელობის სამხატვრო ლიცეუმის ოსტატი;
**ნუგზარ სახვაძე** — რუსთავის პროფესიული ლიცეუმის დირექტორი;
**ნაირა საჯაია** — ზუგდიდის სასწავლო-საწარმოო ცენტრის მასწავლებელი;
**ევგენი ტყებუჩავა** — კვალიფიკაციის ამაღლების რესპუბლიკური ცენტრის დირექტორის მოადგილე;
**დავით ჩხიკვიშვილი** — რუსთავის № 3 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ოსტატი;
**რევაზ ხაჭაპურიძე** — ხონის მრავალდარგოვანი პროფესიული სასწავლებლის დირექტორის მოადგილე;
**ავთანდილ ხმიადაშვილი** — ყვარლის რაიონის ენისელის № 2 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მძღოლი-ინსტრუქტორი.

**ე. შევარდნაძე.**

## ...დღის აქცენტი

### ...ევუტიოთ, ...აგრამ როგორ?

...აქართველოს პროკურატუ...ში გაიმართა კოლეგიის გა...ართოებული სხდომა, რომე...ედაც განიხილეს კორუფციის ...ნააღმდეგ ბრძოლის საკით...ი. მთავარი მოთხოვნა იყო ...თი — ვილაპარაკოთ არა იმა..., თუ რა გავაკეთეთ გუშინ, ...ამედ იმაზე, თუ რა უნდა გა...ვეთოთ ხვალ.

...ხდომაზე თავიანთი აზრი გა...თქვეს გენერალური პროკუ...რის მოადგილეებმა სოსო ყი...ანმა და ანზორ ბალუაშვი...ა, თბილისის პროკურორმა ...ზარ გაბრიჩიძემ, აფხაზეთის ...ოკურორმა ანზორ ლაცუზბა..., იმერეთის სამხარეო პრო...რორმა თამაზ ჭუმბურიძემ, ...სთავის პროკურორმა ვენედი ...იძემ, გლდანის რაიონის ...ოკურორმა ზაზა ინწკირვე...ა და სხვებმა.

...ორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს პროკურატურის ორი სამუშაო ჯგუფი მა კორუფციის წინააღმდეგ განსახორციელებელ პრაქტიკულ ღონისძიებებს ითვალისწინებს.

კოლეგიაზე ხაზგასმით ითქვა: — კარგად უნდა გავერკვეთ იმაში, თუ რა არის კორუფცია და ისე ვებრძოლოთ მას აქტიურად. თანაც ვებრძოლოთ არა დაბალ ინსტანციებში, არამედ — ზემო ეშელონებში.

თუმცა, აქვე ისიც დასძინეს, რომ ძალზე ძნელია 20-25 ლარით ებრძოლო 20-25 მილიონი ლარის მქონე მაფიოზებს. ამიტომ აუცილებლად უნდა მოგვარდეს პროკურატურის მუშაკთა მატერიალური უზრუნველყოფის, პირველ რიგში კი, ხელფასების პრობლემები.

**ბადრი იაშვილი.**

## ნაძალადევში 2000-ზე მეტ ოჯახს გაზი მიეწოდება

*...ძველისძველი, კოლორიტული ...ძალადევის რაიონის გარეგ...ლი იერსახის, სანიტარიული ...ომარეობისა და კომუნალუ... მომსახურების გასაუმჯობ...ებლად ბოლო ხანს მნიშ...ლოვანი ღონისძიებები გან...ორციელეთ — გვითხრა რა...ნის გამგებელმა გიორგი შე...ძემ,* — ინტენსიურად დასუ...ავდა რაიონის მთელი ტერი...რია, გავაუქმეთ უკანონო ნა...საყრელები თბილისის ზღვის ...ერგე მეურნეობის ტერიტო...აზე, გავწმინდეთ სანაპირო ...ლი რკინიგზის მიმდებარე ...რდობებზე, მთლიანად გავ...ეთ რაიონის ტერიტორიიდან ...სახლეობის მიერ დაგროვილი ...რთი, მათ შორის მარტო მსუ...ქი ავტომანქანის 78 დამტვ...ული ძარა იყო. მოვახერხეთ ...რძო მოსახლეობის საყოფა...ოვრებო ნარჩენების ჩამოვ...ტანის გატანის ტრადიციის აღ...ენა. სპეციალური ბრიგადე...უპატრონო, მაწანწალა ცხო...ლების დაჭერა-იზოლაციას ახ...ენენ.

...ამის გარდა კაპიტალურად შე...ეთეთ ეკა ბეჟანიშვილის ქუჩა, ...მდინარეობს ლომთათიძის და ...ხელიანის ქუჩებზე ასფალტის ...ფარის აღდგენა, თ. ერისთა..., ცოტნე დადიანის, გურამი...ლის, ქსნის, გუდამაყრის, ჩა...ლის ქუჩების რემონტი.

...ქვენი გაზეთის მკითხველე... მინდა იცოდნენ, განაგრძო ...მდეგ გ. შერაძემ, რომ გან...კუთრებულ ყურადღებას რაიონის მოსახლეობისა და წარმოება-დაწესებულებების ენერგოსისტემის გამართულ მუშაობას ვაქცევთ. გაზსადენის პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების შემდეგ ბუნებრივი აირი მიეწოდა 2083 ოჯახს თემქის დასახლებაში, გურამიშვილის გამზირზე, მუხრანის, კაკაბაძის, სადმელის, იფნევის ქუჩებზე, პროფილაქტიკური სამუშაოები მიმდინარეობს რაიონის სხვა დასახლებებშიც.

შევაკეთეთ ელექტროგადამცემი საჰაერო ხაზები ჩხიკვაძის ქუჩაზე, აღდგა მაღალი ძაბვის სადენი კომერციის ინსტიტუტის საქვაბის ელექტრომომარაგებისათვის. თემქის დასახლების ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით დამატებით ჩავდეთ 300 გრძივი მეტრი მაღალი ძაბვის სადენი. კაპიტალურად შევაკეთეთ და დავამონტაჟეთ მწყობრიდან გამოსული 10 ძალოვანი ტრანსფორმატორი.

რაიონი დაამშვენა მოედნებსა და ცენტრალურ მაგისტრალებზე მოწყობილმა ილუმინაციის განათებამ, მოწესრიგდა გარე განათების ქსელი, აღვადგინეთ 450 სანათი წერტილი.

ცენტრალური მაგისტრალებიდან გავიტანეთ 32 სავაჭრო ჯიხური, ზესტაფონის ქუჩა გავათავისუფლეთ ქაოსური გარევაჭრობისაგან. ჯიხურების გატანა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება. ასე რომ, მალე ნაძალადევის რაიონი ძველებურ იერს დაიბრუნებს...

**მაკა ჩხაიძე.**

## ინფორმაცია

### მარკა - საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოსახულებით

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 12 თებერვალს გამოუშვა მარკა რვა წევრი ქვეყნის და, მათ შორის, საქართველოს სახელმწიფო დროშის გამოსახულებით.

ამასთან დაკავშირებით, გაეროში მოეწყო მექსიკელი მხატვრის ლეონარდო ნიერმანის ნამუშევართა პრეზენტაცია, რომელიც აღნიშნული მარკების პირველი გამოცემის სპეციალური ყდის ავტორია. პრეზენტაციაზე გაიმართა მარკების გამოფენა-გაყიდვაც.

### მიზანი - საქართველოს ერთიანობა

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით მარშან, შემოდგომაზე დაწყებული აფხაზეთის და სამაჩაბლოს დღეები ამჯერად იმერეთის რეგიონში გრძელდება. დიდთოვლობის მიუხედავად ღონისძიება უბისის წმიდა გიორგის ეკლესიიდან დაიწყო, სადაც წირვა-ლოცვა აღაველინა მეუფე დანიელმა.

უბისიდან სტუმრები ხარაგაულს ეწვივნენ. იყვნენ სამლოცველოში, შემდეგ კი შეხვდნენ მრევლს. შეხვედრაზე გამოვიდნენ ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი დანიელი, მარგვეთის მიტროპოლიტი კონსტანტინე, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს წევრი აკაკი გასვიანი და ხარაგაულის რაიონის გამგებელი ნოდარ ებანოიძე.

### მიმდინარეობს კონსულტაციები

ვლადიკავკაზში მიმდინარეობს კონსულტაციები ქართულ და ოსურ მხარეებს მორის. განიხილავენ სამშვიდობო ოპერაციათა მიმდინარეობის, ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონირების, სამშვიდობო ძალთა კონტინგენტის შესაძლო შემცირების საკითხებს.

### პრესკონფერენცია საქართველოს პარლამენტში

გუშინ საქართველოს პარლამენტში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა ლანა ღოღობერიძემ, ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარემ მიხეილ მაჭავარიანმა, ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარემ ზურაბ ახმეტელმა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ ზაზა სიორიძემ პრესკონფერენცია გამართეს. პრესკონფერენციის მთავარი თემა 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი იყო. გამოიკვეთა საერთო აზრი, რომ ბიუჯეტი არის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი საფუძველი და ის სახე, რომელიც მას დღეს აქვს, მოსაწონია. აღინიშნა, რომ მომავალ კვირას დანიშნულ პლენარულ სხდომაზე ბიუჯეტი პირველი მოსმენით მიიღება.

### გერმანული ფირმის წარმომადგენლები - თბილისში

გუშინ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრმა მერაბ ჩხენკელმა მიიღო გერმანული ფირმა „ფეიერაბენდის“ წარმომადგენლები, რომლებიც ქვეყანაში ჩამოვიდნენ გერმანიის ბუნდესტაგის წევრის, საქართველოს მეგობარ პარლამენტართა ჯგუფის ხელმძღვანელის ვილი ვიმერის რეკომენდაციით. მათი მიზანია საქართველოსა და აზერბაიჯანში დაიწყონ სოლიდური სამშენებლო საქმიანობა. გერმანელ მეწარმეებს თან ახლდნენ თურქი პარტნიორებიც.

### აჟღერდა ბერძნული საგალობლები

გრძელდება საბერძნეთის ეკლესიის დელეგაციის ვიზიტი საქართველოში. 12 თებერვალს ბერძენმა სტუმრებმა მოინახულეს დედაქალაქის ტაძრები. დიდი ინტერესით გაეცნენ დიდუბის, ალექსანდრე ნეველის, ქაშუეთის და წმინდა ნიკოლოზის ტაძრებს. ეწვივნენ ნარიყალაზე მშენებარე წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარს. დელეგაციის წარმომადგენლებმა ყველა ტაძარში მრევლს საჩუქრად უძღვნეს მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატები.

გუშინ სტუმრებმა მოინახულეს ჯვრისა და სვეტიცხოვლის ტაძრები, სამთავროს დედათა მონასტერი. საღამოს კი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში მათთვის კონცერტი გაიმართა.

### კარგი მოსავლის საწინდარი

მარშანდელი უთოვლო დეკემბერი და წლევანდელი იანვარი ცუდი გამოდგა თავთავიანი საშემოდგომო კულტურებისათვის კახეთსა და რესპუბლიკის სხვა რეგიონებში. მაგრამ თებერვალი უხვთოვლიანია, რამაც დადებითი როლი შეასრულა ნათესებისათვის. თოვლის სქელი საფარით დაიფარა ყანები დედოფლისწყაროს, სიღნაღის, მარცვლეულის მწარმოებელ სხვა წამყვან რაიონებში. სულ კი სამემოდგომო კულტურები წლეულს 165 ათას და ცოტა მეტ ფართობზეა დათესილი, რაც წინა წლის დონეს აღემატება.

ახლა სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს სპეციალისტთა აზრით საჭიროა დაჩქარდეს მინდვრებში მინერალური სასუქების მიტანა. ეს შესაძლებლობას მისცემთ სასუქები მიაწოდონ ნათესებს, შექმნან საჭირო პირობები მომავალი მოსავლისათვის.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრეზიდენტის პრესსამსახურმა - საქინფორმმა, „იბერიამ“ და ჩვენმა კორესპონდენტებმა.**

## პლენუმი

### საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში

გაიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს მეოთხე პლენუმი. პლენუმზე განიხილეს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის პოპულარიზაციის, კორუფციასთან ბრძოლის, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების ქმედითობის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობისა და სხვა საკითხები.

გადაწყდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები ქვეყნის ყველა რეგიონში სისტემატურად ჩაატარებენ ლექცია-საუბრებს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის შესახებ, შეხვდებიან მოქალაქეებს. 1997 წლის 1 მარტიდან ყოველ ორშაბათს 15-დან 17 საათამდე საკონსტიტუციო სასამართლოს შენობაში (რუსთაველის გამზ. 29) დაინიშნა მოქალაქეთა მიღება.

სხდომას უძღვებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი.

## გვწერენ

### შეეწიეთ მშობლიურ სკოლას, ონოღიელებო!

*ძვირფასო რედაქცია, ნავსი გატყდა და „საქართველოს რესპუბლიკის“ თითო-ოროლა ნომერი ჩვენს სოფელშიც გამოჩნდა. ამიტომ, როგორც სოლიდურ რესპუბლიკურ გაზეთს, თქვენ გწერთ ჩემს გულისნადებს. დარწმუნებული ვარ, არ გამაწბილებთ.*

მარტვილის რაიონის სოფელ ონოღიის საშუალო სკოლის მშენებლობა 1989 წელს დაიწყო და... 1991 წელს, რესპუბლიკაში დატრიალებული ცნობილი მოვლენების გამო, შეწყდა. ძველი სკოლის ავარიული შენობა ჯერ კიდევ 1974 წელს „ჩამოწერეს“ და იმედის თვალით შევყურებდით ახალს. საქართველოს დანგრეული სახალხო მეურნეობის ფონზე, სამსართულიანი, კაპიტალური შენობისთვის დღემდე ვერავინ მოიცალა, არადა, სოფელი დიდია და ასობით ბავშვი ფაქტობრივად ქუჩაში დარჩა. გამოსავალი რომ არსაით ჩანდა, თვით ონოღიის მოსახლეობამ გადავწყვიტეთ პირველი სართულის 14 ოთახი ელემენტარულად მაინც მოგვეწყო. სამშენებლო მასალები უფასოდ მოგვაწოდა რაიონის გამგეობამ. როდესაც სკოლის შეჭირვებული ყოფა გაიგეს თბილისში მცხოვრებმა ჩვენმა კურსდამთავრებულებმა და-ძმა მზია და ემილ მიქაიებმა, საშუალება გამოძებნეს და მშობლიური სკოლის ბიუჯეტში 500 ლარი ჩარიცხეს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებიდან მინდა ხმა მივაწვდინო რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ონოღიელებს, თავიანთი შესაძლებლობის მიხედვით მიქაიებს მიბაძონ და მარტვილის რაიონულ ბანკში ონოღიის საკრებულოს სპეციალურ ანგარიშზე — № 142614 — გადმორიცხონ თუნდაც მინიმალური თანხა. მცირედი მცირედს მიემატება და...

შეეწიეთ თქვენს აღმზრდელ სკოლას, ონოღიელებო!

**გრიგოლ ძაგანია,**
მარტვილის რაიონის ონოღიის საშუალო სკოლის დირექტორი.

## უკანასკნელ საათს



დუშანბე. გუშინ, თბილისის დროით 16 საათზე, როდესაც ამოიწურა ტაჯიკეთის ხელისუფალთათვის მიცემული ულტიმატუმის ვადა, ჯერ კიდევ არ იყო ჩამოსული შეეულმფრენი საველე მეთაურის ბახრომ სადიროვის 40 მომხრითურთ. მიუხედავად ამისა, მან მაინც გაათავისუფლა 6 მძევალი, მათ შორის 5 ჟურნალისტი. მაგრამ ტაჯიკეთის ხელისუფალნი შიშობენ, რომ სიტუაცია შეიძლება უმართავი გახდეს, ვინაიდან, ერთ-ერთი გათავისუფლებული ჟურნალისტის თქმით, სადიროვმა თავის რაზმელებს უბრძანა, მოემზადონ ბრძოლისათვის.

ტაჯიკეთის გაერთიანებული ოპოზიცია პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ ხელისუფლებამ დაარღვია ცეცხლის შეწყვეტის მეთანხმება, როდესაც „უაჩაღ საველე მეთაურს რეზვონ სადიროვს და მის შეიარაღებულ ბანდას უფლება მისცა შესულიყვნენ ობიგარნის რაიონის ტერიტორიაზე“. საქმე ის არის, რომ ოპოზიცია არაოფიციალურად აკონტროლებს ამ რეგიონს.

უკანასკნელი ცნობების თანახმად, ბოევიკებმა პირობა არ შეასრულეს და დახვრიტეს ერთი მძევალი, გაეროს თანამშრომელი.

* * *

გორკი-9. 13 თებერვალს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი შეხვდა ვიცე-პრემიერს, შს მინისტრს ანატოლი კულიკოვს. საუბარი ეხებოდა მინისტრის ვიცე-პრემიერად დანიშვნასთან დაკავშირებით ახალი უფლებამოსილებების მინიჭებას. როგორც კულიკოვმა განაცხადა, პრეზიდენტმა მას „კარტ-ბლანში“ მისცა დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

* * *

ნიუ-იორკი. ვაშინგტონის ადმინისტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ნება დაერთოთ გახსნან თავისი მუდმივი ბიუროები კუბაში. ჯერჯერობით საქმე ეხება 10 წარმომადგენლობას. თეთრი სახლის წარმომადგენელმა მაიკლ მაკერიმ გამოთქვა რწმენა, რომ ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ცნობები „საერთაშორისო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოაქცევს კუბაში არსებულ სიტუაციას და კუნძულის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების რეალიებს“.

* * *

ჯოპარგალა. ოფიციალური ინაუგურაციის შემდეგ იჩქერიის ჩეჩენთა რესპუბლიკის პრეზიდენტი ასლან მასხადოვი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას. როგორც საქმეში ჩახედული წრეები იუწყებიან, მას გადაწყვეტილი აქვს შეითავსოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებაც. დღედღეზე მოელიან პრეზიდენტის ბრძანებულებას სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ.

* * *

მოსკოვი. სახელმწიფო სათათბირო დღეს განიხილავს დადგენილებას ავადმყოფობის გამო ბორის ელცინისათვის პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ. დეპუტატები დარწმუნებული არიან, რომ დადგენილება მოიპოვებს ხმების უმრავლესობას, ხოლო პრეზიდენტის პირადმა წარმომადგენელმა კოტენკოვმა განაცხადა: „პროექტი ვერ გავა; რომც გავიდეს, ამას პოლიტიკური სკანდალის გარდა სხვა არაფერი მოჰყვებაო“.



## ადამიანის ბედი

# ნათელი ბნელში, ანუ კაცი, რომელიც ყველაფერს „ხედავს“

„აირჩიე მეგობარი, მარტოობაში ბედნიერი არ იქნები, ბედი ორის საქმეა“

პითაგორე სამოსელი



ჩვენი თაობა გამოჩენილი ადამიანების მაგალითზე იზრდებოდა, გმირობა და სიმამაცე, საარაკოდ გადმოსული წინაპართაგან, მუდამ განაწყობს ადამიანს უკეთესობისაკენ, ხშირად კი სხვისი საუკეთესო მაგალითი გზაგამრუდებული კაცის გამოსწორების საბაბიც გამხდარა.

დღეს, როცა ჭირდათმენილი ჩვენი საზოგადოება ასე რიგად არის დაშორებული თავის იდეალს, როცა ისტორიის ჩარხმა ამდენი ბედუკულმართობა თავს დაგვატეხა, ყველას როდი ეყო შინაგანი ძალა გამკლავებოდა ერთად თავმოყრილ ამდენ პრობლემას – სოციალურს, ეკონომიკურს...

და, როცა საამკარაოდ გამოჩნდა ყველა გზაწვრილი, როცა თითოეული ჩვენთაგანის სავალ ბილიკს დაეცა მზის სხივი, უფრორე შევიგრძენით ჩვენს სულში ჩაკირული სევდა, წუხილი და იქ ჩარჩენილი პაწაწინა სინათლის შუქიც, რომელიც უნდა გაკიაფდეს სამომავლოდ, გადარჩენას თხოულობს და იხვეწება.

ვინ, ვინ დაისვამს ხელისგულზე ამ მოკიაფე სანთელს – იმედს და უნაზესად შეუბერავს სულს, რომ გაძლიერდეს?

გახსოვთ ის დრო, როცა ჩვენს პრესაში სისტემატურად იბეჭდებოდა ნარკვევები კეთილი, სამაგალითო ადამიანების, ოჯახების შესახებ?

ვფიქრობ, ახლაც აქტუალურია ეს თემა, ვინაიდან დღეს, როგორც არასდროს უახლესი ისტორიის მანძილზე, ისე ძლიერ სჭირდება ჩვენს რწმენაგაბზარულ და გულნატკენ საზოგადოებას გამხნევება იმათი მაგალითებით, ვინც ამ დიდი გაჭირვების ჟამსაც შეინარჩუნა თავისი მეობა, ადამიანობა და შერჩა სურვილი – დაეხმაროს მოყვასს.

კაცი კაცითაო, – ეს კარგად უწყიან მათ.

ნეტავ სად, სულის რომელ კუნჭულში იმალება სიკეთის სხივი?

...ჯერ სულ ახალგაზრდები იყვნენ, ტრაგიკულმა შემთხვევამ ოჯახის მამას ორთავ თვალისჩინი რომ წაართვა. ეს ოჯახის დიდი უბედურება იყო.

მაგრამ ბატონი ლერი დევდარიანი მაშინ სულ ოცდათხუთმეტი წლისა იყო და გულში კვლავ გაზაფხული იდგა!

თანაც მის ზურგს უკან ორი ბოკვერივით ვაჟი მამის მარჯვენას და გულს შესცქეროდა: ხუთოსან ბიჭებს ნამდვილად სჭირდებოდათ ნიჭიერი მამის მზრუნველი ხელი.

ოჯახს კი ამ დროს ისეთი დიასახლისი ჰყავს, ბევრს რომ შემურდება!

ქალბატონი ცაცა დევდარიანი ერთი წუთით არ მოშორებია მეუღლეს; მოსკოვში რვა თვის განმავლობაში ცამეტი ოპერაცია გაიკეთა ლერიმ. ექიმებმა მხოლოდ ის შეძლეს, რომ ერთ-ერთ თვალში მცირედ – 0,03 პროცენტით აღუდგინეს მხედველობა. ვაჟკაცმა დაინახა საგანთა სილუეტები და ამით ცნობს დღესაც მეგობრებს.

ქალბატონი ცაცა ამხნევებდა, ოპტიმიზმით ავსებდა მეუღლეს, ბიჭები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სწავლაში, მამის დაბრუნებით გახარებულნი სკოლიდან შინ ოთხიანს როგორ მოიტანდნენ.

მშვიდმა, კეთილგანწყობილმა ოჯახურმა ატმოსფერომ ტრავმით დაჭრილი სული კვლავ ოპტიმიზმით აავსო, ჯანმრთელმა გონებამ და ნაწრთობმა სხეულმა გაუძლო განსაცდელს და იგი კვლავ ჩვეულ ცხოვრებას დაუბრუნა. 1980 წელს უნივერსიტეტის ლექტორმა ლერი დევდარიანმა საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ფიზიკურ ქიმიაში. ეს იყო საოცარი დაცვა: აუდიტორიაში ტევა არ იყო, ლერიმ ზეპირად გადასცა ყველაფერი.

ოჯახში კი მქსამური წესრიგი სუფევდა: ბიჭები სწავლობდნენ, მეუღლე მსახურობდა. სწორედ ეს აიძულებდა შინ არ მჯდარიყო და არ ჩაღრმავებოდა ფიქრებს.

მას შემდეგ ბატონი ლერი უნივერსიტეტის ქიმიის კათედრის დოცენტია. არის ოთხი სამეცნიერო წიგნის ავტორი.

ის შეებრძოლა განსაცდელს, რადგან არ იყო ისეთი სულმოკლე, საკუთარი თავი შესცოდებოდა! ჭიდილში დაამარცხა იგი და ამაღლდა საკუთარ განცდებზე.

მაგრამ საოცრება შემდეგ ხდება: პირველი ჯგუფის ინვალიდმა, გონებაძლიერმა კაცმა ახალ ცხოვრებას ფეხი აუწყო, შექმნა საკუთარი ფირმა და თვალხილულებს იქით ეხმარება.

ეს უკვე ცხოვრებაზე გამარჯვებასაც ნიშნავს.

...საკვირველია, რატომ უმზერენ ტალახს საზოგადოების თვალხილული ბრმები, ან რატომ დგანან ქუჩაში სამათხოვროდ ხელგაწვდილი ჯან-ღონით სავსე ვაჟკაცები? თავსზემოთ ძალა აღარ უჩანთ და ალბათ, იმიტომ, ხოლო ის, ვინც თავს ძალას ატანს და ბრძოლას აგრძელებს, სიძნელეებზე მუდამ იმარჯვებს...

დღეს ბატონი ლერი დევდარიანი ახლობელთა და მეგობართა წრეში გამორჩეული კაცია, სუფრაზეც მესამური თამადაა. მის გვერდით მუდამ ხალხმრავლობაა და მოსაწყენად ვერავინ იცლის.

ამასობაში ბიჭებიც დაიზარდნენ – რობერტმა და ლევანმა აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 42-ე სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაამთავრეს.

რობერტი მამის პროფესიას გაჰყვა. ის ახლა ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატი და მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორია. ამჟამად მუშაობს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიაში განყოფილების გამგის მოადგილედ. ჰყავს მეუღლე და შვიდი წლის მარიამი.

უმცროსმა ლევანმაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა და იქვე მუშაობს ბიოლოგიის ფაკულტეტის უმცროს მეცნიერ-მუშაკად. ჰყავს მეუღლე.

როცა ოჯახში რძლები შემოვიდნენ, გულით გაიხარეს. – ესენი ჩემი რძლები კი არა, ქალიშვილები არიანო. – სიყვარულით ამბობს ქალბატონი ცაცა და მართლაც, მათ ღირსეულ ოჯახს მხოლოდ ასეთი გაგრძელება შეშვენის.

...დამერწმუნებით, ასეთ ოჯახს დიდი გაძლოლა უნდოდა. ილია ბრძანებდა, რომ თუკი მამაკაცი ზღუდე-გალავანია, დედაკაცი ბურჯია ოჯახისაო.

წარმოიდგინეთ, სხვისი ტკივილი რომ ტკივილად მიაჩნია, საკუთარს როგორ, რა განცდებისა და ემოციების ფასად გადაიტანდა ცაცა დევდარიანი.

ადვილი არ არის, სახლში სამ მამაკაცს უვლიდე და სამსახურშიც ყველაფერი წესრიგში გქონდეს. ეს იმ დროს, როცა მინაგანად არაჩვეულებრივად მომთხოვნი ხარ და ყველგან წესრიგს; სიფაქიზეს ესწრაფვი, როცა ერთდროულად დამოუკიდებელიც ხარ და დამოკიდებულიც, გინდა ყველაფერი მოასწრო შინაც, გარეთაც, იყო მზრუნველი მეუღლე, დედა, მეგობარი, იყო საზოგადოების ღირსეული წევრი და შვილებსაც ზრდიდე საზოგადოებისათვის.

სკოლაშივე გამოირჩეოდა თანატოლებში. 1959 წელს, 17 წლისა, სპორტის ოსტატი გახდა. ბავშვობიდან დაჰყვა მიზანსწრაფულობა და შრომისმოყვარეობა. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 18 წლისა მოვიდა მინისტრთა საბჭოში ტექნიკურ მუშაკად, საიდანაც ყველა საფეხურის გავლით მიაღწია განყოფილების გამგის თანამდებობამდე. ამჟამად არის საქართველოს პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის აქტებისა და დავალებების შესრულების კონტროლის განყოფილების გამგის მოადგილე.

ქალისათვის ეს არც თუ მსუბუქი ტვირთია, მთელი სერიოზულობით უძღვება საქმეს და მუდამ სამუშაო ფორმაშია.

მის გაწკრიალებულ სამუშაო ოთახში უამრავი ყვავილია. ფერადფერადი თაიგულები გვირილისა, ვარდისა, იისა... ეს ბუნების საოცრებით ტკბობის ნიჭზე და იმაზე მეტყველებს, რომ რაგინდ საპასუხისმგებლო სამუშაოზეც უნდა იყოს, ის პირველ რიგში მაინც ქალია.

...წელგამართულად ზის, ეს ჩვევა ალბათ განვარჯიშის დროს, ბავშვობიდანვე გამოუმუშავდა. ახალგაზრდულად გამოიყურება. ამას წინათ ორმოცდათხუთმეტისა შესრულდა და უამრავ მილოცვებთან ერთად საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის მადლობის წერილიც მიიღო. ქალბატონი ცაცა მიჩვენებს ამ წერილს, სადაც წერია: „გულითადად გილოცავთ დაბადების დღეს, და მოგმართავთ უღიდესი მადლიერების გრძნობით სახელმწიფო ორგანოებში გაწეული ხანგრძლივი, კეთილსინდისიერი და ერთგული მოღვაწეობისათვის.

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში“.

აქ კიდევ უამრავი მილოცვაა, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი მისი სიკეთის, დადებითი ადამიანური თვისებების შესახებ.

მეგობრები და კოლეგები ამაყობენ მისით!

მიაჩნია, რომ ყველაზე მძიმე დანაკარგი დაკარგული დროა და ამიტომ ხელიდან არ უშვებს შესაძლებლობას დაეხმაროს გაჭირვებულს, რითაც შეუძლია.

ამის მრავალი მაგალითი გვითხრეს მისმა კოლეგებმა და ნაცნობებმა, ყველას აქ ვერ დავასახელებ, ვიტყვით მხოლოდ ერთს, რომ თავისი ობოლი ნათესავი გოგონა ბავშვობიდან აღზარდა და შვილივით უპატრონა. ის ახლა თვითონაა ოჯახის დედა.

მუდამ ცდილობს ავადმყოფს წამალი მიაწოდოს, გაჭირვებულ თანამშრომელს, თუ ნაცნობს დახმარების ხელი გაუწოდოს.

...ქალბატონ ცაცას მაღალი შუბლი და უკან გადავარცხნილი შეკრული თმები ამშვენებს. მის ჭკვიან მზერაში ქართველი ქალის ოდინდელ კდემას, სულიერ სისპეტაკესა და გრადიციებისადმი ერგთულებას ეკითხულობ.

ბედნიერებაა, ასეთი ადამიანები რომ არსებობენ ჩვენს საზოგადოებაში. მათი ცხოვრების წესი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება შეებრძოლოს პიროვნება ბედის უკუღმართობას.

...ნელნელა ნათელი შეეპარა და გასტეხა ღამე. დილამ აჯობა ბნელს და ინათა. ამობრწყინდა მნათობი და ზეცის სუფრაზე დედოფლად დაბრძანდა.

სიცოცხლის სიყვარული აცისკროვნებს კაცის სულს, მხოლოდ მას შეუძლია მძაფრად შეაგრძნობინოს ცხოვრების სილაჟვარდე.

**ლია ჭილლაძე.**

## სოციალური სფერო

### რებეკა ბრაიენი: „ჩვენ საქართველო გვიყვარს!“

#### დახმარება უპოვართ და ობოლთ

„ქაუთენპარტი“ ამერიკული ჰუმანიტარული დახმარების პროგრამაა, რომელიც დსთ-ს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, სამადლო საქმეს ეწევა. ეს „ქაუთენპარტია“, კოპწია ტანსაცმელში რომ გამოაწყო ქვეყნის ბევრი მხარის ქერიქ-ობლები და ქუჩაში სამათხოვროდ გამოსული მოზარდები.

ამ დღეებში ორგანიზაციის წარმომადგენლები შიდა ქართლს, გორს ეწვივნენ, ჩვენ ვიცით, რა მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაშია ჩავარდნილი თქვენი კუთხის ხალხი, – გვითხრა პროგრამის რეგიონულმა დირექტორმა ქ-ნმა რებეკა ბრაიენმა. – შინაამლილობამ, ომებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში თავისი კუთხიდან ათასობით ადამიანი აჰყარა და ამჟამად ეს ხალხი ქ. გორსა და გორის რაიონშია შეხიზნული. ჩვენი პროგრამაც ცდილობს გაჭირვებულებს შეუმსუბუქოს ძნელი ცხოვრება – ანუგეშოს, მხარში ამოუდგეს, მატერიალურად დაეხმაროს.

ქალბატონი რებეკა ბრაიენის ხელშეწყობით სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სახელმწიფო ფონდის გორის ფილიალმა ჰუმანიტარული დახმარება მიიღეს. ფონდის დირექტორის ნუგზარ აწკარუნაშვილის, ფონდის მუშაკთა მოწადინებით უმოკლეს დროში მოხერხდა შესაბამისი სიების შედგენა-დაზუსტება და დახმარებაც გაიცა.

მოსახლეობის სრულიად დაუცველი ფენების წარმომადგენლებს დაურიგეს 2500 მოზარდის კოსტიუმი და ამდენივე ქურთუკი, 5000 ცალი კომბინეზონი, ათასობით ჩასაცმელი მოხვდათ გაჭირვებული ოჯახების ბავშვებს, ობლებს, ინვალიდებს, მაწანწალებს, ლიახვის ხეობის სოფლების მოსახლეობას. 3000 კომბინეზონი ფონდმა ფაბრიკებისა და ქარხნების მუშებს გაუნაწილა.

„ქაუთენპარტმა“ ქალაქისა და რაიონის, ასევე სააქციო საზოგადოება „ლაინის“ საავადმყოფოსათვის 1300-ზე მეტი კომპლექტი თეთრეული ჩამოიტანა, ასევე 30-ზე მეტი დასახელების სამედიცინო აპარატურა, შესახვევი მასალები, საკაცეები, თაბამირი, დიაგნოსტიკის ხელსაწყოები და სხვა.

**გურამ ვაშაკიძე,**
„სრ“ საკ. კორ.

## კონფერენცია

# საქართველო - აფხაზეთი - ჩეჩნეთი, კონფედერაცია თუ...

ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში (ჯოხარგალა) საერთაშორისო ახალგაზრდული კონფერენცია გაიმართა. მის მუშაობაში კავკასიის სხვადასხვა რეგიონის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, გაეროს საერთაშორისო ახალგაზრდული ასოციაციის საქართველოს ქსელის (პრეზიდენტი – ალუდა გოგლიჩიძე, აღმასრულებელი დირექტორი – მიხეილ აბაშიძე) წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

კონფერენციაზე შეჯამდა მარშანდელი ტალტის შეხვედრის შემდგომი მუშაობა და დამუშავდა ახალი პროექტები. განიხილეს კავკასიის მასშტაბით ახალგაზრდებს შორის ინფორმაციის გაცვლისათვის საჭირო ელექტრონული ქსელის შექმნის საკითხი, ჩეჩნეთისათვის არასამთავრობო ორგანიზაციების დაარსებაში ხელშეწყობის ღონისძიებები და სხვა.

კონფერენციის დევიზი – „მშვიდობა ჩეჩნეთს, მშვიდობა კავკასიას, საყოველთაო მშვიდობა“ ამ ახალგაზრდულ შეხვედრას წითელ ზოლად გასდევდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი გაიმართა ქვეყანაში, სადაც ომის შემდეგ ნანატრი სიმშვიდე სუფევს, ხოლო მისი მოსახლეობა იმ დროს არჩევნებისათვის ემზადებოდა, მაშინ გასაგები გახდება სიტყვა მშვიდობის მნიშვნელობა.

საქართველოს წარგზავნილებმა (რომლებიც არჩევნებზე დამკვირვებლებადაც იყვნენ მიწვეულნი) დაათვალიერეს ომის შემდგომი ჩეჩნეთი, ნახეს მიწასთან გასწორებული გროზნო, საფილტრაციო ბანაკი, ქართველ ახალგაზრდებს ამ გაჩანაგებულ ქვეყანაში სასიამოვნო სიურპრიზიც დახვდათ – მათი იქ ყოფნის პერიოდში ელექტროენერგიის მიწოდება მხოლოდ ორი საათით შეწყდა. ადგილობრივი მოსახლეობა არც გაზისა და გათბობის არარსებობას უჩიოდა. სწორედ ასეთ, „უჩვეულო“ პირობებში უხდებოდათ ჩვენს წარმომადგენლებს მუშაობა.

კონფერენცია კავკასიელ ახალგაზრდებს შორის კონტაქტებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ინტენსიურობით იყო მნიშვნელოვანი. აფხაზებთან ურთიერთობის პრობლემა არ გვქონია, – ამბობს ალუდა გოგლიჩიძე, – ისინი გულდიად საუბრობდნენ აფხაზეთში დღეს შექმნილ ვითარებაზე. ეკონომიკური თუ საინფორმაციო იზოლაცია, დამნაშავეობა, – აი პრობლემები, მათ რომ აწუხებთ. თუმცა, როგორც აფხაზებთან საუბრისას გაირკვა, მათი ყველაზე დიდი პრობლემა საქართველოს პრეზიდენტი ყოფილა (!). ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ აფხაზეთის დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო თანამეგობრობაში ინტეგრირების გზაზე ხელისშემშლელი მხოლოდ შევარდნაძის ფაქტორია, იგი რომ არა, ჩვენი მიზანი უკვე მიღწეული იქნებოდაო. (ასეთია არძინბას პროპაგანდის შედეგი). ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ კონფლიქტის ზონიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის მოთხოვნებზე, რაც, მათი აზრით, შეიძლება ომის განახლების მიზეზი გახდეს. ასე რომ, აფხაზი ახალგაზრდები, ქართველი თანატოლებისადმი „კეთილგანწყობის“ მიუხედავად, სეპარატისტულ იდეებს არ ლალატობდნენ.

კონფერენციის მუშაობა დატვირთული იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტობისა თუ დეპუტატობის კანდიდატებთან შეხვედრებით. აფხაზეთის წარმომადგენლები განსაკუთრებულ ინტერესს შამილ ბასაევისადმი იჩენდნენ, თუმცა თვით მას კითხვაზე, თუ რა სურს გადასცეს აფხაზ ხალხს, ძალიან მოკლედ უპასუხნია: სიკეთე და კარგად ყოფნაო. ეს ყველაფერი იმის მაჩვენებელია, რომ ბასაევმა აფხაზების მიმართ თანადგომის პოზიცია შეიცვალა და საქართველოსკენაც „მოაპყრო მზერა“. ამის მიზეზი კი, რა თქმა უნდა, უპირველესად, ჩეჩნეთის ეკონომიკური ინტერესები გახლავთ. შამილ ბასაევმა გროზნოდან საქართველოს საზღვრამდე 70 -კილომეტრიანი გზის მშენებლობის იდეა წამოაყენა. ალუდა გოგლიჩიძის აზრით, ჩეჩნებს ეს გზა, ალბათ, ნავთობპროდუქტების გასატანად სჭირდებათ. ჩეჩნეთის მოსახლეობისათვის ხომ შემოსავლის ერთადერთი წყარო სწორედ ოჯახებში კუსტარული წესით ნავთობის წარმოებაა. თუნდაც ამიტომ ისინი უარს არ იტყვიან საქართველოს სახით ახალი ბაზრის „დაპყრობაზე“, ხოლო საქართველოსათვის რამდენად მისაღებია ამ გზის მშენებლობა, ეს უკვე სხვა საკითხია.

კონფერენციაზე გამოსვლისას თვით ჩეჩენი ინტელიგენციის წარმომადგენლები შეშფოთებას გამოთქვამდნენ ისლამის გავრცელების გამო. მათი აზრით, ტომ მეჩეთს ვაშენებთო – იძლევა. ალუდა გოგლიჩიძის თქმით, ეკონომიკურ კრიზისში მყოფი აფხაზეთი, სადაც პენსია 2000 რუბლის ოდენობით განისაზღვრება (50 თეთრი), რა თქმა უნდა, დამოუკიდებლად მეჩეთების მშენებლობის წარმოებას ვერ შესძლებს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ „კეთილშობილური“ ჩანაფიქრის განხორციელებაში მათ სხვა ეხმარება.

ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის მომხრეთა შორის სოფლის მოსახლეობა სჭარბობს, წინააღმდეგი უფრო ინტელიგენციაა. დღეს საქართველოში ხშირად

იქვე განაცხადა: შესაძლებელია მხოლოდ საქართველოაფხაზეთ-ჩეჩნეთის კონფედერაციის შექმნა, რადგან მხოლოდ ეს სამი რესპუბლიკაა რუსეთისაგან მეტნაკლებად დამოუკიდებელიო. ამ სამთა კავშირში აფხაზეთის ჩართვა კი, ალბათ, იმაზე მეტყველებს, რომ ბასაევს ქართველებთან კარგი ურთიერთობის დამყარებაც სურს და ვერც აფხაზეთის „დამოუკიდებლობას“ თმობს. თუმცა, რა უნდა მოსთხოვო ადამიანს, რომელიც ინგლისს დამოუკიდებლობის აღიარებას ჰპირდება, რუსეთს – ჰუმანიტარულ დახმარებას, ხოლო გერმანიას (რომელიც რუსეთს მატერიალურად ეხმარება) მუშტებს უქნევს.

კონფერენციის სტუმრებისათვის ჩეჩნეთის ბავშვთა ცეკვის ანსამბლმა საგანგებო კონცერტი გამართა. ანსამბლის ერთ-ერთი წევრი ავადმყოფი



რელიგიური მომენტი უკვე საკმაოდ დომინირებს სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის პროცესში. და ეს მაშინ, როცა სულ რამდენიმე წლის წინათ ხალხში რწმენა საერთოდ არ არსებობდა. რასაკვირველია, ასეთი სიტუაცია არც საქართველოსთვის არის მაინცა და მაინც ხელსაყრელი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ისლამის აღზევების საფრთხე აფხაზეთშიც შეიძლება შეიქმნას. ამის საბაბს კონფერენციაში მონაწილე აფხაზის ნათქვამი – ეკლესიაში უკვე აღარავინ დადის და ამიგაიგონებთ: ჩვენ, ქართველებმა ვერ შევძელით, ჩეჩნებმა კი ქუდზე კაცი გამოიყვანეს, როცა სამშობლოს გაუჭირდაო. მაგრამ არც ასეა საქმე. ადგილობრივ დამკვირვებელთა აზრით, ომში თურმე ჩეჩნეთის მოსახლეობის მხოლოდ 5-7 პროცენტი მონაწილეობდა.

შამილ ბასაევთან კონფერენციის მონაწილეთა შეხვედრის დროს, ვერც ერთიანი კავკასიური სახლის შექმნის იდეას აუარეს გვერდი. „აფხაზეთის გმირმა“ ბასაევმა თურმე ასეთი რამ არარეალურად მიიჩნია, მაგრამ აღმოჩნდა და მისმა ხელმძღვანელებმა ბავშვის ზღვაზე დასასვენებლად გამგზავრებისათვის დახმარება გვთხოვეს.

ეს საკითხი მალე დადებითად გადაწყდება, – ამბობს ალუდა გოგლიჩიძე...

აი, სწორედ ასეთი უბრალო, ადამიანური ურთიერთობებითაც შეიძლება ორ ხალხს შორის ჩატეხილი ხიდის აღდგენა. მისასალმებელია, რომ ეს საპასუხისმგებლო მისია ახალგაზრდებმა ითავეს...

**ბექა ჭედია.**

## საინფორმაციო ცნობა

### საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 20 დეკემბრის №830 და 1997 წლის 29 იანვრის №77 ბრძანებულებების შესაბამისად შექმნილი სატენდერო კომისია

აცხადებს ტენდერს ს/ს „მადნეულის“ მიერ სპილენძისა და ბარიტის მადნების გადამუშავება წარმოებისათვის დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „სპილენძის“ 51 % წილის მართვის უფლებით გადაცემაზე

1. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ საქართველო იურიდიულ პირებს, რომელთა საწესდებო კაპიტალში სახელ წიფოს, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, საქველმ ქმედო და სხვა საზოგადოებრივი ფონდების, რელიგიური ორ განიზაციების წილი შეადგენს 25 პროცენტზე ნაკლებს, საზღვ რგარეთის ქვეყნების იურიდიულ პირებს.

2. ინფორმაციას შპს „სპილენძის“ შესახებ ტენდერში მონ წილეობის პრეტენდენტი მიიღებს სატენდერო კომისიაში საი ფორმაციო ცნობაში მითითებულ მისამართზე სპეციალური პ კეტის სახით.

ინფორმაციას საწარმოს შესახებ მონაწილეს შეუძლია გაეცნო ასევე უშუალოდ საწარმოში მისამართზე – ბოლნისის რაიონ დაბა კაზრეთი. საწარმოს დირექტორი ვალდებულია უზრუნ ველყოს პრეტენდენტებისათვის აუცილებელი ინფორმაციის გაცნობ მას პასუხისმგებლობა ეკისრება ამ ინფორმაციის სისწორეზე.

3. ტენდერის პირობები:

შპს-ის 51 პროცენტი წილი გადაეცემა 5 წლის ვადით მართვ უფლებით და მმართველის უფლებამოსილება განისაზღვრება „მ წარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით ამასთან აღნიშნული ნიშნავს მმართველის უფლებას განაწილე ბული წმინდა მოგების 51-პროცენტიან წილზე (ტენდერში გამა რჯვებულის მხრიდან ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შ მთხვევაში მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით გაგრ ძელონ ხელშეკრულების მოქმედების ვადა 5 წლით).

ტენდერის მონაწილის წინადადებები უნდა აკმაყოფილებდე შემდეგ პირობებს:

ა) შპს-ის ძირითადი საწარმოო ფონდების განახლება და მ რთვის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საწარმოს მა ტერიალურ-ტექნიკური ბაზის სათანადო სამუშაო მდგომარე ბაში დატოვება შემდგომი ფუნქციონირების შესაბამისი გარა ტიებით.

ბ) ტენდერში მონაწილე იღებს ვალდებულებას და პასუხისმ გებლობას ს/ს „მადნეულის“ მიერ მიღებულ ლიცენზიის პირო ბების შესრულებაზე სპილენძისა და ბარიტის მადნების გად მუშავებასთან დაკავშირებით (ინფორმაციას ლიზენციის პირო ბებისა და მოპოვების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ტენ დერში მონაწილეობის პრეტენდენტი მიიღებს სპეციალური პა კეტიდან საინფორმაციო ცნობის მითითებულ მისამართზე).

გ) სამეთვალყურეო საბჭოში სახელმწიფოს მხრიდან სულ ცო ორი წევრის წარმოდგენა.

დ) სამუშაო ადგილების რაოდენობის შენარჩუნება.

ე) მუშაკთა მატერიალური და სოციალური მდგომარეობის უმჯობესება.

ვ) საწარმოს ვალების (როგორც ამჟამინდელი, ასევე ხელშ კრულების მოქმედების პერიოდში წარმოქმნილი) სრულად და ფარვის უზრუნველყოფა (აუდიტორის მიერ დამოწმებული არსებუ ვალების კონკრეტული რაოდენობა აისახება ხელშეკრულებაში

ზ) გამარჯვებული იღებს ვალდებულებას ხელშეკრულების ხე ლმოწერიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში და ხელშეკრ ლების ვადის გასვლამდე არაუგვიანეს სამი თვის ვადაში გარ ეკოაუდიტის ჩატარების თაობაზე.

თ) რაიონის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობე სება.

ი) წინადადებები სახელმწიფოს მართვაში არსებულ წილზე გა ნაწილებული წმინდა მოგების მინიმალური რაოდენობის შესა ხებ ხუთი წლის განმავლობაში (წლიური დაყოფით), რომელი განსაზღვრული უნდა იქნას კონკურსის გამოცხადების მომენტისათვ ლონდონის ლითონების ბირჟაზე სპილენძზე სამთვიანი ფიუჩე რსის მიხედვით.

4. ტენდერში გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომლი წინადადებები აკმაყოფილებს ტენდერის ყველა პირობას და შეიცა 5 წლის განმავლობაში სახელმწიფო მართვაში არსებულ წილზ განაწილებული წმინდა მოგების ჯამს და იგი მაქსიმალურია წა რმოდგენილ წინადადებებს შორის (საქართველოს მოქმედ კანონმდებლობის შესაბამისად ბიუჯეტთან შესაბამისი ანგარი მსწორების შემდეგ).

5. მესაკუთრე (უფლებამოსილი ორგანო) ვალდებულებას იღე ტენდერის დასრულების დღიდან 1 თვის ვადაში მოქმედი კან ნმდებლობის შესაბამისად გამარჯვებულ მონაწილესთან დადო ხელშეკრულება, რომელშიც აისახება მართვისა და მხარეთა ურ თიერთობის კონკრეტული პირობები ტენდერის მოთხოვნათა შე საბამისად და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნა კისრი მოვალეობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შე სრულების შემთხვევაში. ამასთან გამარჯვებულს უფლება არ აქვს გადასცეს სხვა პირს, გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვა სახი განკარგოს მის მართვაში არსებული წილი.

გამარჯვებული ვალდებულია შეათანხმოს დამფუძნებელთან გა დაწყვეტილებები, რომლებიც ეხება:

ა) შპს-ს საწესდებო კაპიტალის ცვლილებასა და მისი ლიკვ დაციის საკითხს.

ბ) გადაწყვეტილებას სხვა საზოგადოებებთან შერწყმის შესახებ

გ) კაპიტალდაბანდებათა (სხვა საწარმოებში წილობრივ მო ნაწილეობათა) შეძენასა და გასხვისებას.

დ) შპს-ს ძირითადი საშუალებების გასხვისებას და დაგირა ვებას.

6. გამარჯვებულის პასუხისმგებლობა სატენდერო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე:

გამარჯვებული ვალდებულია სატენდერო პირობებისა და ნა კისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ ყოველ 6 თვეში ინფორმაცია წარუდგინოს სახელმწიფო ქონების მართვის სამი ნისტროს (უფლებამოსილ ორგანოს), მაგრამ არაუგვიანეს მომ დევნო თვის 10 დღის განმავლობაში.

სატენდერო პირობების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში გამარჯვებული იღებს გაფრთხილე ბას წერილობითი სახით, მის მიერ გადახდილი იქნება საწეს დებო კაპიტალის ნომინალური ღირებულების 10 პროცენტი სა ხელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ და მიეცემა 1 წლის ვადა სატენდერო პირობების არასათანადოდ შესრულების ან შეუს ულებლობის აღმოსაფხვრელად.

სატენდერო პირობათა შეუსრულებლობის განმეორებით გამო ვლენის შემთხვევაში სახელმწიფო ქონების სამინისტრო აღძრავ სარჩელს სასამართლოში მართვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

ხელშეკრულების ბათილად ცნობის შემთხვევაში გამარჯვებულ არ აუნაზღაურდება გაწეული დანახარჯები.

7. ტენდერში მონაწილეობის მსურველმა იურიდიულმა პირ სატენდერო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტე ბი:

განცხადება, რომელსაც უნდა ერთვოდეს:

ა) წესდება და რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტ

ბ) მომსახურე ბანკის დასახელება, მისამართი და ანგარიშს წორების ანგარიშის ნომერი;

გ) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადამოწმებული სა ბანკო გარანტია;

დ) წინადადებები ტენდერის პირობების დაკმაყოფილებისა და შესაბამისი ვალდებულებების შესახებ (ეს დოკუმენტი მოთავ სებული უნდა იყოს დალუქულ კონვერტში);

ე) ინფორმაცია ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის დარგშ საქმიანობის გამოცდილების შესახებ.

ვ) მისაღებლის – ეროვნულ ვალუტაში 20 000 (ოცი ათასი) აშ დოლარის ექვივალენტური თანხის გადახდის დამადასტურებე ლი ქვითარი (თანხა უნდა ჩაირიცხოს საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკ „საქართველოს ბანკი“ ა/ა № 001141776 მფო 521017).

8. ტენდერში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება წარმო ებს 10 მარტიდან 11 აპრილამდე ყოველდღე (დასვენების დღეე გარდა) 10-დან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 64, სახელმწიფო ქონების მართვის სამი ნისტრო, ოთახი 302, ტელ: 29-30-72; 29-27-02 ფაქსი 29-00-04.

განცხადებების მიღება წყდება 11 აპრილს 17 საათზე. ტენდე რში მონაწილეობის პრეტენდენტი საინფორმაციო პაკეტის მ სალებად იხდის 1000 აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლ რებში. თანხა უნდა ჩაირიცხოს საქართველოს სახელმწიფო ქონებ მართვის სამინისტროს ანგარიშზე: სააქციო კომერციული ბანკ „საქართველოს ბანკი“ ა/ა №001142776 მფო 521017.

ტენდერი ჩატარდება 1997 წლის 14 აპრილს 14 საათზე.

14 თებერვალი, 1997 წელი
№2
ამშენებელი
საქართველოს რესპუბლიკა
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაზეთი
ყოველთვიური დამატება

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გვეხმაურებიან

# მეამაყება

ქედის რაიონში ვერც ერთ სოფელს ვერ ნახავთ, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ერთი კურსდამთავრებული მაინც არ იყოს და ყველა კურსდამთავრებულის სახელით მინდა მოგილოცოთ საიუბილეო 1997 წელი სარედაქციო კოლეგიას, უნივერსიტეტის რექტორატს, პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა სტუდენტს.

მინდა გისურვოთ ნაყოფიერი მუშაობა ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროგრესის შემდგომ განმტკიცებაში, მომავალი სპეციალისტების აღზრდაში, რაც ჩვენი მრავალტანჯული სამშობლოს აყვავების გარანტი იქნება.

წავიკითხე გაზეთ „ამშენებლის“ პირველი ნომერი და დამეუფლა სიამაყის გრძნობა, რადგან მეც ერთ-ერთი იმათთაგანი ვარ, ვინც 1979 წელს დაამთავრა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სასწავლებელი, სადაც ჩემი შეგნებული ცხოვრების ყველაზე მხიარული პერიოდი გავიარე. მართალია სხვა სფეროში ვმოღვაწეობ, მაგრამ თქვენი ხელმძღვანელობითა და მეცადინეობით, ასე ვიტყოდი, ჩემი ინსტიტუტის კედლებში მიღებული წრთობა საშუალებას მაძლევს ერთი აგური შევმატო იმ საერთო საქმეს, რასაც დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლა ჰქვია. კიდევ ერთხელ გილოცავთ ყოველთვიური გაზეთის პირველი ნომრის გამოშვებას.

პატივისცემით

**ნოდარ შერვაშიძე,**

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის № 304 სასწავლო ჯგუფის კურსდამთავრებული, ქედის რაიონის შ/ს განყოფილების უფროსი, პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი.

# ისტორიას სიმართლე უყვარს

მიმდინარე წელი ჩვენს ქვეყანაში უმაღლესი ტექნიკური განათლების საიუბილეო წლადაა მიჩნეული. საქართველოში და მთელს ამიერკავკასიაში პირველი უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსებიდან უკვე 80 წელი გავიდა. თუმცა საზოგადოებისათვის ამ უმაღლესი სკოლის დაარსებაც და მისი ბედიც თითქმის უცნობია და რატომღაც იდუმალების ბეჭედი აზის. რატომღაც მასზე საუბარს კი არა, ხსენებასაც ერიდებიან. ისტორიას კი სიმართლე უყვარს.

პირველი იუბილე, რომელიც საქართველოში უმაღლესი ტექნიკური განათლების 10 წლისთავს მიეძღვნა, 1928 წლის 15 იანვარს ჩატარდა. ათვლის ორიენტირი დღეს დავიწყებული თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი იყო.

შეჯამდა გაწეული მუშაობა, დაისახა მომავლის გეგმები, მაგრამ მისი შესრულება ვერ მოხერხდა. იმავე წლის 19 ივლისს გაიმართა თათბირი განათლების კომისარიატში, სადაც გამოიყო კომისია თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის გაერთიანების მოსაგვარებლად. გადაწყდა, ამ ორი უმაღლესი ტექნიკური განათლების კერის ნაცვლად შექმნილიყო — „საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი“, რუსული და ქართული სექტორებით. ამით დამთავრდა თბილისის ვ.ი. ლენინის სახ. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის საქმიანობა და

(დასასრული მე-4 გვ.)

## „გეპეელები“

გამთრის სუსხიანი ქარი ძვალსა და რბილში ატანდა, ნარიყალას დედაციხისაკენ მიმავალ გზას ავუყევი. იმ სამანქანო გზას, ურომლისოდაც წმინდა ნიკოლოზის ტაძრის რესტავრაციას საშველი ვერ დაადგებოდა. არც ისე შორეულ წარსულში, აქაურობა ქვიშითა და ქვა-ღორღით იყო სავსე. არა თუ მანქანით, ფეხით ვერ მიუდგებოდა კაცი. დღეს წმინდა ნიკოლოზის აღდგენილი ეკლესია თამამად გადმოჰყურებს ნარიყალას ციხის ქონგურებიდან დედათბილისს. ეკლესიაში მისვლისას „პატარა“ დიასახლისმა ლალი ყენიამ (სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა) გაგვანდო, ამ გზას რომ უყურებთ, ბატონ რომან გვენცაძის უშუალო ძალისხმევით არის გაყვანილიო. თურმე ქალაქის პოლიციის მეფად ყოფნისას ინსპექტორებს სთხოვდა წესრიგის დამრღვევნი ნარიყალაზე გაეშვათ მიწის წამოსაღებად, ყველაფერი კი 15 წლის წინათ დაიწყო...

გაზაფხულის ერთ მშვენიერ საღამოს შეიკრიბნენ ტექნიკური უნივერსიტეტის (ადრინდელი პოლიტექნიკური ინსტიტუტის) „სამშენებლო ფაკულტეტის“ 1971 წლის კურსდამთავრებულები, ამ დღეს დაებადა ბატონ რომან გვენცაძეს აზრი, დედაციხის კომპლექსის რესტავრაციაში მთელ ფაკულტეტს მიეღო მონაწილეობა. საერთო საქმეც სშირ-ხშირად შეახვედრებდა ერთმანეთს თანაკურსელებს, არც სტუდენტური წლები და მოგონებები ჩაქრებოდა და მინავლდებოდა. ჯგუფებმაც მხარი აუბეს ამ საქმის სულისჩამდგმელს და ყოველ კვირა დღეს თბილისის დედაციხეზე გაჩნდა „გეპეელების პოლიგონი“, რომელიც „ძეგლთა დაცვის სამმართველოსთან“ ერთად თავის წილ სარესტავრაციო საქმესაც აკეთებდა. ქვა-ღორღისგან გასუფთავებული ტრანშეს ქვეშ აღმოჩენილმა სიმაგრის ნაწილებმა ერთგვარი ბიძგი მისცა მათ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის რესტავრაციაზე ეფიქრათ.

— იმ ნანგრევებს წამლა ეწერა, ჩვენ კი ამას არ დავუშვებდით, — გვითხრა ბატონმა რომან გვენცაძემ. ხანგრძლივი ურთიერთობებისა და შრომის შემდეგ, 1989 წელს ჩამოყალიბდა „სრულიად საქართველოს დავით აღმაშენებლის საქველმოქმედო საზოგადოება“, რომელმაც დემეტრე-II-ის მეფობის დროს აშენებული წმინდა ნიკოლოზის ტაძრის აღდგენაზე იფიქრა. ამ იდეას მაშინ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ქვეყანაში, მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა ძვრებმაც თავისებური დაღი დაასვა ამ საქველმოქმედო საქმეს. ეკლესიის აღდგენა შეწყდა, ვიდრე... 1996 წელს ბატონი რომანი მოსკოვში მოღვაწე თანაკურსელს, ფირმა „ლაგის“ პრეზიდენტს, თემურ კვარაცხელიას შეხვდებოდა. ბატონმა თემურმა თავად გამოთქვა სურვილი, ამ სამშვილიშვილო საქმისათვის მოეკიდა ხელი და ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები დაეფინანსებინა. მარტივდანვე ტაძართან გაჩნდა მექანიკური ამწე, ქვის დასამუშავებელი ავტომატური საჭრეთელი და კვლავ „გეპეელების პოლიგონი“.

— ჩვენმა გუნდმა ფული ჩადო სულიერი განწმენდისათვის ბრძოლაში, — განაცხადა ბატონმა თემურ კვარაცხელიამ. მან ასევე განსაკუთრებით აღნიშნა ახალგაზრდების წვლილი საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში. ისინი მხოლოდ გართობასა და ხორციელ სიამოვნებას არ უნდა ეძებდნენ. ახალგაზრდა მოვალეა, ყოველდღე ერთი სანთელი მაინც აანთოს ღვთის ტაძარში. — ასეთი რწმენით გაგვზარდა „გეპეიმ.“ წმ. ნიკოლოზის ეკლესია ტექნიკური უნივერსიტეტისა და მთელი საქართველოს ტაძარი ნგრეული ეკლესია სამზეოს ვერ იხილავდა.

ერთდაერთი, რაც ამ საქმის მეურვეებს აწუხებთ, ელექტროენერგიის დეფიციტია. მართალია, სათანადო სამსახურები დახმარებას დაპირდნენ, მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. „მიდის, მოდის ტარიელი, მუცელი აქვს ცარიელი“ — სწორედ ჩვენზეა ნათქვამი, განაცხადა ბატონმა რომანმა, მიდიან, მოდიან ხელისუფლებისა და „საქენერგოს“ წარმომადგენლები, რომელთა კომპეტენციაშიც ამ პრობლემის მოგვარება შედის, მაგრამ წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას სინათლე დღემდე არ ეღირსა. მას მხოლოდ 2 თვით სჭირდება ენერგეტიკის სამინისტროს დახმარება, სამინისტროს წარმომადგენელთ კი ავიწყდებათ, რომ ტაძრის აღდგენას მხოლოდ სულიერი სინათლე არ ჰყოფნის.

წმინდა ნიკოლოზის ეკლესიას მოძღვარიც ჰყავს — ირაკლი კალანდაძე (იგი ადრე ნარიყალას კომპლექსში მძღოლად მუშაობდა). მან ჯერ კიდევ რესტავრაციის დასაწყისში გამოთქვა სურვილი სასულიერო განათლება მიეღო. მალე მამა ირაკლი ეკლესიას დაუბრუნდება, როგორც ჭეშმარიტად განსწავლული მოძღვარი.

# ასწლეული დუმილის შემდეგ



წმინდა ნიკოლოზის ეკლესია.

ბაჩი სულაბერიძის ფოტო.

უნდა გახდეს, — გვითხრა საუბრის დასასრულს ბატონმა თემურმა.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატის ინიციატივით ეკლესიის აღდგენით სამუშაოებში სტუდენტებიც ჩაერთვნენ. ბატონმა რომანმა ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა მიანიჭა. „ხელისუფლებას ახალგაზრდობა უნდა დაუდგეს გვერდით“ — მიაჩნია მას. სტუდენტობა თავისი მრწამსით, მიზანდასახულობით, ზნეობრივი სიმტკიცითა თუ შემოქმედებითი მიგნებებით, თუნდაც მრავალი დაბრკოლების გადალახვით, თავად უნდა ქმნიდეს მისთვის სასურველ სინამდვილეს, გეზს აძლევდეს ცხოვრებას. ჩვენ მალე აფხაზეთსაც დავიბრუნებთ... საქართველოს იმ ძირძველ, დაწყლულებულ მხარეში ბევრი სამუშაო გვექნება. სტუდენტობა აქტიურ ძალას უნდა წარმოადგენდეს ეროვნული თვითშეგნების გზით ქართული საქმის საძირკველის ჩაყრაში.

მრევლი ეკლესიის გახსნის მოლოდინშია. როგორც ჩვენმა რესპონდენტებმა გვითხრეს, ეკლესიის კურთხევა სააღდგომოდ მოხდება, მანამდე... მთავარი პრობლემა თითქმის დაძლეულია. ბატონი რომანის თქმით, თემურ კვარაცხელიას გარეშე და-

ეკლესია თითქმის მზადაა ჩადგეს ღვთისა და ხალხის სამსახურში.

XIII საუკუნის მნიშვნელოვანი ძეგლი, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, ნარიყალას დედაციხის გალავნიდან ასწლეულების დუმილის შემდეგ შეეგებება ქართულ ისტორიულ სინამდვილეს.

რწმენა-მთებს სძრავსო — იესომ უთხრა მოწაფეებს. მთელი ცხოვრება რწმენით ვიარე. როდესაც კაცი პოლიციაში მუშაობს, ზეციერი ნათლისა და მადლის გარეშე ვერ იცხოვრებს. მთავარია, შინაგანად სუფთა და ღირსეული იყო. ამ ტაძრის მშენებლობის იდეაც რომან გვენცაძისათვის სულიერი ცხოვრებისაკენ მიბრუნების ერთგვარი გზა იყო.

**ეკა სეხნიაშვილი**

ჰტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტი.

საქართველოს რესპუბლიკა
№35, პარასკევი 14 თებერვალი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(დასასრული)

მისი ისტორიის უკანასკნელი ფურცელი ისე მყარად დაიხურა, რომ დღეს ბევრმა ამის შესახებ არაფერი იცის. არადა, 1922 წლიდან 1928 წლამდე საქართველოში უმაღლესი განათლების მქონე ინჟინრებს, სწავლულ აგრონომებს, ეკონომისტებს (რომ არაფერი ვთქვათ იურისტებზე) მხოლოდ აღნიშნული ინსტიტუტი უშვებდა. დღეს, როცა ქართულ ენაზე არა თუ ლექციის კითხვა, საუბარიც კი არ შეეძლო. ამიტომ, როდესაც ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ა. დიდებულიძემ ეს საკითხი დასვა, ინსტიტუტის კოლექტივში ამან უკმაყოფილება გამოიწვია. გაუჭირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტსაც. ტექნიკური დარგის ლაბორატორიების მოწყობას დიდი ფინანსური დაბრკოლებები ელობოდა. გაძნელდა სპეციალისტთა კადრების უცხოეთიდან მოწვევა და საზღვარგარეთ სტუდენტის გაგზავნა. ფაკულტეტმა 6 წლის თავზე მხოლოდ 10 ინჟინრის გამოშვება შეძლო. ამ ნაკლის აღმოსაფხვრელად გაერთიანდა სწორედ თბილისის ლენინის სახელობის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი და თსუ-ს პოლიტექნიკური ფაკულტეტი ერთ მძლავრ, საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტად.

# ისტორიას სიმართლე უყვარს

ყოველი სკოლისა თუ პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში, თბილისსა თუ რაიონულ ცენტრებში (და ასე წარმოიდგინეთ, სოფლებშიც კი) უნივერსიტეტები და აკადემიები იხსნება, ძნელი გასაგებია, რამ განაპირობა საქართველოში არსებული ორად-ორი ტექნიკური განათლების კერის გაერთიანება, მაგრამ იმ პერიოდში, ვფიქრობთ, განათლების პრობლემებს უფრო მეტი ყურადღებით უდგებოდნენ. თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ვერ მოხერხდა ქართული სექტორის გახსნა. ინსტიტუტის მოწვეულ პროფესორმასწავლებელთა უმრავლესობას

1930 წელს კვლავ მოხდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის რეორგანიზაცია. მათ ბაზაზე კვლავ ახალი ინსტიტუტები აღმოცენდა. სამი წლის შემდეგ ისინიც და კიდევ რამოდენიმე დარგობრივი ინსტიტუტი ახლა უკვე ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში გაერთიანდა, 1936 წელს ესეც საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტად გადაკეთდა.

1947 წელს ფართოდ აღინიშნა საქართველოში მშობლიურ ენაზე არსებული უმაღლესი ტექნიკური სასწავლო დაწესებულების 25 წლისთავი. ეს არსებითად 1922 წელს დაარსებული თსუ-ს პოლიტექნიკური ფაკულტეტის იუბილე იყო. ამ დროიდან 1917 წელს გახსნილი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის არსებობაც დაიწყებას მიეცა.

შემდგომ იუბილეებზე დამკვიდრებული ტრადიცია გრძელდებოდა: საქართველოში ტექნიკური უმაღლესი განათლების ისტორიას იწყებდნენ არა 1917 წლიდან, არამედ 1922, ანუ არა იმ დროიდან, როდესაც პირველი უმაღლესი ტექნიკური ინსტიტუტი გაიხსნა.

ამ ინსტიტუტის ისტორიის დადგენის მსურველს დღესაც უცნაური და გაუმართლებელი დაბრკოლებები ელობება. რომ აღარაფერი ითქვას წმინდა ტექნიკურ ბარიერებზე, მთლიანად ნაშრომს იდეოლოგიურ უვარგისობასაც აბრალებენ. არადა, დრო გადის, ამ ინსტიტუტის არსებობა სრულ დავიწყებას ეძლევა. ისტორია კი, რომელსაც სიმართლე უყვარს, თავისას ითხოვს.

**ნორა ნებიერიძე,**
დოცენტი.

# როცა კადრების შენარჩუნება პრობლემაა

დღევანდელი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის წინამორბედი – ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი – წლების მანძილზე ემსახურებოდა კვალიფიციური კადრების მომზადებას კომპიუტერული სისტემების პროექტირების, სერვისისა და საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის სფეროში. ტრადიციული კავშირების რღვევით, საბაზრო ურთიერთობათა გავრცელებისა და საინჟინრო სპეციალობების ჰუმანიტარიზაციის პროცესების გავლენით ფაკულტეტი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტად გარდაიქმნა. უწინდელი სპეციალობები ახალთან ერთად მოდერნიზებული სახითაა წარმოდგენილი. ამ სპეციალობების პოპულარობას ისიც ადასტურებს, რომ აბიტურიენტებმა დიდი კონკურსი უნდა გაიარონ სტუდენტობის უფლების მოსაპოვებლად. ნიჭიერი სტუდენტები უკვე მეორე – მესამე კურსიდან მუშაობენ საკმაოდ მაღალი ანაზღაურებით. ჩვენთან ორასამდე უცხოელმა მიიღო პროფესიული განათლება.

ფაკულტეტის კედლები მრავალი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციის დაცვის მოწმეა. დღეს აქ მოღვაწეობს მრავალი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატი, პროფესორი და დოცენტი. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მაგისტრატურის საყოველთაო შემოღებამდე მაგისტრების მომზადება წარმოებდა. დღეს კი ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბაზაზე ორგანიზებულია კომპიუტერულ მეცნიერებათა და სისტემათა საერთაშორისო აკადემიის საქართველოს განყოფილებები.

რა პრობლემები აწუხებს ყველაზე მწვავედ დღესდღეობით ფაკულტეტს?

ფაკულტეტის ერთ-ერთი პრობლემა ახალგაზრდა და საშუალო თაობის მაღალკვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მათი ინსტიტუტში სამუშაოდ მოზიდვაა. ის საკმაოდ რთული საქმეა, რადგან ცალკეულ ფირმებში ათჯერ მეტ ანაზღაურებას სთავაზობენ მათ, ვიდრე ინსტიტუტს შეუძლია. ამას ისიც ემატება, რომ არასასწავლო ორგანიზაციებს უახლესი ტექნიკის შესაძენად მეტი შესაძლებლობები აქვთ, ვიდრე უმაღლეს სასწავლებელს. უამტექნიკოდ კი სიახლე ძნელი მისაღწევია. თუმცა ამ მიმართულებით მდგომარეობა შედარებით უმჯობესდება, ანაზღაურება კვლავ სამომავლო პრობლემად რჩება.

გარდა ამისა, უაღრესად საჭიროა სპეციალიზებული ბიბლიოთეკის შექმნა.

**ნოდარ ლომინაძე,**
ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

## ტკივილი

„ბუნებამ ადამიანს ხელთ მისცა იარაღი – გონებრივი მორალური ძალა, მაგრამ მას შეუძლია ეს იარაღი უკუღმართადაც გამოიყენოს, ამიტომ სათანადო მორალური საფუძვლების გარეშე ადამიანი ხდება ყოვლად უკაცური და მხეცური, მდაბალი, თავისი სქესობრივი და გემოვნების ინსტიქტების ამყოლი“

(არისტოტელე).

ნარკომანია – მსოფლიოს ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა, საქართველოს სატკივარიც გახდა. თუ 1962 წელს მოსახლეობის მხოლოდ 4 პროცენტი იყო მისი მომხმარებელი, 35 წლის შემდეგ ეს ციფრი თითქმის 15-ჯერ გაიზარდა. დღეს, ყოველი მესამე ახალგაზრდა ნარკოტიკული საშუალებების ზეგავლენის ქვეშაა. 17-18 წლის გოგო-ბიჭები წამლის შემხაპუნებით ცდილობენ და ფიქრობენ კმაყოფილების განცდისა და ცხოვრების საზრისის პოვნას, სინამდვილეში კი ეს არის ახალგაზრდების ფსიქიკური და მორალური გამოფიტვა, სასოწარკვეთილების საყოველთაობა, სულიერი და კულტურული ღირებულებების, კრიტერიუმების წაშლა, ხვალინდელი დღის იმედის დაკარგვა.

ნარკომანის დღიურიდან: – „ბევრი მსმენია ამ გზის სირთულეზე. მაინც მინდა ვიარო ამ გზით. ინტერესი მაწუხებს, მწიწკნის, მიბიძგებს... თითქოს პირველი ნაბიჯი ისეთივეა, როგორც ყველა განვლილი. პირველი ცდუნებიდან ადვილია სიარული უმაღლესი ცდუნებისაკენ.

ჩემი მეგობრები უკვე მიეცნენ ნეტარების მორევს, „კაიფს“ რომ ვეძახით. ისინი თითქოს მოსწყდნენ მიწას. მეც მაღელვებს რაღაც. მეც მინდა „იგი“, მინდა გავიგო რას ნიშნავს: მე „მშია“ ნარკოტიკი“.

სულ რაღაც 20-30 წლის წინათ ნარკოტიკების ხმარების დადასტურების შემთხვევაში, სტუდენტი ირიცხებოდა უმაღლესი სასწავლებლიდან. საზოგადოება კიცხავდა მას. დღეს, ოპიუმი განსაზღვრავს წამალთდამოკიდებულთა რიგების ახალგაზრდებით შევსებას. რას ემყარება ნარკოტიკის ძალაუფლება ადამიანზე?!

ყოველივე ამის შესახებ ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, მედიკობიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ზელა ლექავას მივმართეთ:

– 1960 წელს დავამთავრე სამედიცინო ინსტიტუტი ისე, რომ არც ერთი ნარკომანი არ მენახა. ნაცნობ ნარკომანზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი... პირველად ნარკომანს ქალაქის მილიციის წინასწარი დაკავების საკანში შევხედი. ჩავაცივდი, მინდოდა გამეგო რატომ გახდა ნარკომანი.



# მე „მშია“ ნარკოტიკი

ნარკომანებს საბოლოო ანგარიშით ნარკოტიკული ნივთიერების მიღების არგუმენტად მოჰყავთ სიამოვნების მიღების, ეიფორიულ, აღტყინებულ გუნებაგანწყობაზე დადგომის სურვილი. ახალგაზრდების მოუმზადებელმა ცნობიერებამ, საშინელი არსებობიდან გამოსავლის პოვნის მოთხოვნილებამ, უკმაყოფილების გრძნობამ წამალთდამოკიდებულება საყოველთაო მოვლენად აქცია.

ადამიანი გარდამავალი საფეხურია ცხოველიდან ზეციურისაკენ – უმაღლესი ნათელისაკენ ლტოლვა ცოდვილი გზით, ნარკომანს ცხოველური საწყისისაკენ აბრუნებს. ნარკოტიკი კლავს ადამიანში შემოქმედებით ძალებს, იგი არაპროდუქტიული ხდება.

საზოგადოებრივი აზრი მოდუნდა, თითქოს შეეჩვია ამ მომაკვდინებელ სენს, არადა ნარკომანია ქრონიკული დაავადებაა, მას ადამიანური კატეგორიებით, იდეალებით, მორალით უნდა დავუპირისპირდეთ. მხოლოდ მედიცინისა და პოლიციის ძალებით ეს შეუძლებელია.

პროფესორ ანზორ გაბიანის ფუნდამენტური გამოკვლევების მიხედვით, ნარკოტიკების მიღების მიზეზთა შორის საქართველოში პირველ ადგილზეა ცნობისმოყვარეობა ეიფორიის განცდის მიმართ (გამოკითხულთა 68 პროცენტი, მეორეზე – ამხანაგების წამხედურობა – 25 პროცენტი)...

დღეს ჯანდაცვის სამინისტროს წინაშე დგას საკითხი ტრამალის ნარკოტიკების სიაში შეტანისა და ლეგალიზების თაობაზე. მოზარდებისათვის „საყვარელი“ და „ნაცნობი“ ტრამალი მთელ რესპუბლიკას მოედო.

ნარკომანიასთან ბრძოლის ერთ-ერთი ხელშემშლელი ფაქტორი ისიც არის, რომ დღეს ნარკოლოგია არ ფინანსდება. ნარკომანიის საწინააღმდეგო პროგრამების შედგენას, სხვადასხვა სახის მეთოდების დამუშავებას, კადრების მომზადებას ფული სჭირდება, იგი სახელმწიფო მზრუნველობისა და ყურადღების ცენტრალურ საკითხად უნდა იქცეს.

ამ სენის პროფილაქტიკის, განკურნების, მოსპობის ეროვნული დონისა და მნიშვნელობის საქმეში უნდა ჩაებას მთელი ქართველი საზოგადოებრიობა.

* * *

არასასიამოვნო რეალობიდან გაქცევა ნარკოტიკების დახმარებით უარეს რეალურ საფრთხეში აგდებს ახალგაზრდებს, მაგრამ ნარკომანები არ იბადებიან. ნარკომანებად იზრდებიან.

ჩვენ ერთი თაობის წარმომადგენლები ვართ, გვაქვს თითქმის ერთნაირი დამოკიდებულება ყველაფრისადმი და ერთმანეთისადმიც. ნარკოტიკისადმი?! სჯობს აქაც სიმართლე ვუთხრათ ერთმანეთს.

– შენ „იკეთებ“ იმიტომ, რომ მოუგვარებელი პრობლემები გაქვს, უიმედობამ, სასოწარკვეთილებამ შეგიპყრო, ცხოვრებაზე გულგატეხილი, უნებისყოფო გახდი?!

– შენ იღებ ნარკოტიკს იმისათვის, რომ ცნობიერების ნეტარებით, ბედნიერების გრძნობით დატკბე?!

– ან იქნებ, მხოლოდ იმიტომ, რომ ამას შენი მეგობრები აკეთებენ, შენ კი... მშიშარა „ლედიკოს ბიჭივით“ დგახარ და უყურებ. მაინც გიბიძგებს წამლისაკენ. და გავიწყდება, რომ ამით ბოროტმოქმედი ხდები.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ქალაქის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსი ლემურ მიქაძე:

– ნარკომანია – დაავადება და ამავე დროს დანაშაულია. დღევანდელი შემოსავლით 19 წლის სტუდენტი, რა თქმა უნდა, ნარკოტიკულ ნივთიერებას ვერ შეიძენს, თუ მან კორუფციას, დანაშაულს არ მიმართა, თუმცა ჯერ მე პოლიციის ძალით გამოსწორებულ ნარკომანს არ შევხვედრივარ. თუ არსებობს ნარკოტიკი, არის მოთხოვნილება ნარკოტიკებზე და ამგვარად, არსებობს ნარკომანია, მასთან ბრძოლა უფრო რთულია, ვინაიდან ამ შემთხვევაში დაზარალებული ფარავს დანაშაულს. ნარკოტიკების გამსაღებლის ქმედებათა უარყოფითი შედეგების უკან დგას სასიკვდილოდ განწირული ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდების დიდი რიგი. პოლიცია გამსაღებლებს უნდა ებრძოდეს, სამწუხაროდ, სწორედ ეს მიმართულება გახდა ხელმოსათბობი წყარო ზოგიერთი პოლიციელის „კრახაბურობისა“. ამიტომ დღის წესრიგში უნდა დადგეს ძალისმიერი ორგანოების მუშაკთა სიწმინდე. ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლის ასობით „რეცეპტია“ შექმნილი სამედიცინო დაწესებულებების, ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მაგრამ ჩემი აზრით, ნარკოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის ყველაზე მისაღები გზა არის საზოგადოებაში ცხოვრების ჯანმრთელი წესის დამკვიდრება, რომელიც ცივილიზებულ სახელმწიფოებში საბავშვო ბაღიდან იწყება, ჩვენთან კი, არც ერთ უმაღლეს სასწავლებლებში არა თუ თემატიკური ლიტერატურა, მცირე ბროშურაც კი არ არსებობს ნარკომანიის შესახებ. მე ვფიქრობ, განათლების სისტემამ სპეციალურად უნდა იზრუნოს ცხოვრების ჯანმრთელი წესისათვის და მახასიათებელი ჩვევების გამომუშავებაზე. მხოლოდ საზოგადოების, მთავრობისა და ცალკეული ადამიანების ერთიანი ძალისხმევით შეიძლება მოვსპოთ ნარკომანია საქართველოში.

რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ზოგიერთი ახალგაზრდა ხელის მტევანზე ვენების ნაჩხვლეტებს განგებ იჩენს, ამით ამტკიცებს რომ ისიც „იჩხირავს“. სინამდვილეში კი ნარკოტიკებს არ ხმარობს.

ნარკომანები სუსტი პიროვნებები არიან, მათი „ფილოსოფიური კრედოდან“ გამომდინარე, ისინი რეალობას, მოძრაობას – ჰალუცინაციების სამყაროს ამჯობინებენ. თუმცა, ნარკომანები არ იბადებიან, ნარკომანებად იზრდებიან. ისინი სამოთხეს ილუზიებში ეძებენ, დროებით იმშვიდებენ მედიკო-ბიოლოგიურ მოთხოვნებს, ერის სულიერი სიცოცხლე კი მალე ნარკომანიის გავლენით, თვითმკვლელობამდე მივა.

მე და ჩემი თანატოლები პასუხს ვაგებთ საკუთარი ქმედების გამო. წუთიერი კმაყოფილებისათვის ნუ ვწირავთ თავს!

**ეკა სეხნიაშვილი**
ჰტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფაკულტეტი გუშინ, დღეს, ხვალ

# ეროვნულ ენერგეტიკას პროფესიონალები აალორძინებენ

ენერგეტიკის ფაკულტეტი ერთ-ერთი უძველესია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. იგი 1930 წელს დაარსდა, თუმცა ინჟინერ-ელექტრომექანიკოსების მომზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურმა ფაკულტეტმა 1922 წლიდან დაიწყო.

ამ ხნის მანძილზე ფაკულტეტმა მოამზადა და გამოუშვა 18000-ზე მეტი სპეციალისტი. ენერგეტიკის ფაკულტეტის პირველი დეკანი იყო პროფესორი ა. ტერ-ხაჩატუროვი. სამეცნიერო საბჭოს წევრები – ელექტროტექნიკური დარგის ცნობილი და გამოჩენილი მოღვაწეები, პროფ. ა. დიდებულიძე, პროფ. ს. ყირქესალი, პროფ. ვ. პეტკევიჩი, დოც. დ. თუმანიშვილი და სხვები.

ამჟამად ფაკულტეტი ერთ ზოგად საუნივერსიტეტო და ექვს მაპროფილებელ კათედრას აერთიანებს, სადაც 10 სპეციალობის ინჟინერ-ენერგეტიკოსებს ამზადებენ. სასწავლო პროცესი ორ ეტაპად წარმოებს, პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ, რომელიც ოთხ წელიწადს მოიცავს, კურსდამთავრებულებს ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ენიჭებათ, ხოლო განსაკუთრებით გამორჩეულ სტუდენტებს, – სწავლების მეორე საფეხურის გავლის შემდეგ – მაგისტრის წოდება. კათედრების მიერ სწავლების ორივე ეტაპისათვის შედგენილი სასწავლო გეგმები და პროგრამები ძირითადი ფუნდამენტური და გამოყენებითი დისციპლინების იმ ჩამონათვალს მოიცავს, რომელიც მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებასა და გამოშვებას უზრუნველყოფს.

არსებობის მანძილზე ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ შექმნილი და გამოქვეყნებულია 94 სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, 18 მონოგრაფია, ლექციათა ორასზე მეტი მოკლე კურსი, მეთოდური მითითება, ლაბორატორიული სამუშაოების პრაქტიკუმი. მათ მჭიდრო მეცნიერული და პარტნიორული კონტაქტები აქვთ დამყარებული ევროპის აღიარებულ სამეცნიერო და სასწავლო ცენტრებთან.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის მიერ გამოშვებული ახალგაზრდა სპეციალისტთა დასაქმების ძირითად ბაზას „საქენერგო" წარმოადგენს, ამიტომაც სამინისტროს ხელმძღვანელობა დაინტერესებულია მომავალი ენერგეტიკოსების პროფესიონალიზმით.

ურთიერთთანამშრომლობაზე დადებული აქვთ ხელშეკრულება, რომელიც ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მხრივ ქვეყნის ენერგოსისტემის საინჟინრო და მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტას ითვალისწინებს, მისი რეალიზაცია ვფიქრობთ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის ბაზისური დარგის – ეროვნული ენერგეტიკის აღორძინებისა და განვითარების სახელმწიფოებრივ საქმეს.

### პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები

საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარების ყოველწლიური ბუნებრივი ნამატის გათვალისწინებით აუცილებელია ისეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების განხორციელება, ურომლისოდაც პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება ჩვენი ენერგოსისტემის ნორმალური მუშაობა. უნდა დამთავრდეს თბილსრესის გაფართოების და რეკონსტრუქციისათვის დასახული ღონისძიებების განხორციელება. დაიგეგმოს დასავლეთ საქართველოში ბაზისური თბოელექტროსადგურის მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოები. უნდა დაიწყოს ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის აგება. რაც შეეხება ბოლო წლებში საზოგადოების ერთ ნაწილში ჩამოყალიბებულ აზრს, თითქოს რესპუბლიკის ენერგეტიკის კრიზისული მდგომარეობიდან გამოყვანა შესაძლებელია მცირე ენერგეტიკის, ენერგიის არატრადიციული და განახლებადი წყაროების ინტენსიური განვითარების გზით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა მაშინ იქნება ეფექტიანი, თუ ტიპობრივი პროექტები ასაწყობი უნიფიცირებული კონსტრუქციებით შესრულდება. სადგურების მთლიანი ავტომატიზაცია და მშენებლობა იწარმოებს ინდუსტრიული მეთოდებითა და ტექნოლოგიებით. ამასთან, მცირე ჰესების აგება ძირითადად უნდა განსორციელდეს კერძო და სახელმწიფო ასოციაციების, აგრეთვე, დაინტერესებული სამინისტროებისა და უწყებების ხარჯზე. ამიტომაც აუცილებელია კანონპროექტის მიღება, რომლითაც განისაზღვრება მცირე ჰესების მშენებლობაში სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაციების მონაწილეობის ფორმები, კერძო კაპიტალის ინვესტიციის მიზიდვის გზები და საშუალებები.

და, რაც მთავარია, დღევანდელ პირობებში, როცა ენერგოსისტემა თავისი დინამიკური მდგრადობის ზღვარზე მუშაობს, არსებით მნიშვნელობას გამომუშავებული ელექტროენერგიის რაციონალურად მოხმარების საკითხი იძენს. დასახვეწია ელექტროენერგიის სატარიფო სისტემა. ამავე დროს გასათვალისწინებელია ენერგიის მოხმარების სეზონურობის ფაქტორიც. რესპუბლიკის ენერგეტიკის ახალ ეკონომიკურ რელსებზე გადასაყვანად. ჰიდროენერგორესურსების ინტენსიური ათვისებითა და ადგილობრივი ქვანახშირის მარაგის ეფექტიანი გამოყენების გზით შეიძლება მივაღწიოთ ელექტროენერგიის წარმოებისათვის საჭირო ორგანული სათბობის იმპორტის შემცირებას.

თუმცა არ ვაცხადებთ იმის პრეტენზიას, რომ მთლიანად შევძლებთ რესპუბლიკის ენერგეტიკაში არსებული ყველა პრობლემის წარმოჩენას. დღევანდელ ეტაპზე მთავარია პრობლემისადმი პრინციპული, სწორი მიდგომა, რომლის გადაჭრა რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი სტრატეგიული ამოცანა იქნება.

**დემი ლაოშვილი,**
სტუ-ს ენერგეტიკის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

## მესამძირკვლენი

### გივი ჩიხლაძე



ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის შექმნასა და ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანა პროფესორმა გივი ჩიხლაძემ. 1960-1972 წლებში იგი დეკანის მოადგილე იყო, ხოლო 1972-1986 წ.წ. დეკანი.

გ. ჩიხლაძემ შინაარსიანი სიცოცხლით იცხოვრა. დაიბადა ქუთაისში, 1921 წელს. დაამთავრა თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი, მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში. შემდეგ სწავლობდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, იყო სტუდენტი, ასპირანტი, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გახდა პროფესორი, გამოქვეყნებული ჰქონდა 30-ზე მეტი მეცნიერული ნაშრომი, იყო ორი გამოგონების ავტორი. დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, მიენიჭა უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება.

შესანიშნავმა პედაგოგმა, ახალგაზრდობის მოამაგემ და ქომაგმა, მომთხოვნმა და სამართლიანმა მუშაკმა თავისი ღვაწლით წარუშლელი კვალი დააჩნია ფაკულტეტს.

### გიორგი ტყეშელაშვილი

პროფესორმა გ. ტყეშელაშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკული ფაკულტეტის ბაზაზე ახალი – „ელექტრომანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის" ფაკულტეტის დაარსებაში. 1959 წელს იგი თავად ჩაუდგა სათავეში ამ ფაკულტეტს და წლების განმავლობაში იყო მისი დეკანი.



1964 წელს მან დააარსა თავისი დროისათვის სრულიად ახალი – „ავტომატიკისა და ტელემექანიკის" კათედრა და მას 1975 წლამდე ხელმძღვანელობდა. 1979 წლიდან დღემდე იგი ამ კათედრის პროფესორ-კონსულტანტია.

პროფესორი გ. ტყეშელაშვილი ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის", „სამამულო ომის" პირველი ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

### ნიკოლოზ გაბაშვილი



ფაკულტეტის დამაარსებელთა შორისაა ნიკოლოზ გაბაშვილი, საქართველოში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის პიონერი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ჯერ კიდევ 1954 წელს პროფესორ ნ. გაბაშვილის ინიციატივით საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაარსდა „საწარმოო პროცესების ავტომატიზაციის" კათედრა, ორი წლის შემდეგ იგი სათავეში ჩაუდგა „ავტომატიკის", ტელემექანიკისა და გამოთვლითი ტექნიკის" კათედრას, ბოლოს კი „გამოთვლითი ტექნიკის" კათედრის გამგე იყო.

პროფესორი ნ. გაბაშვილი კიბერნეტიკული პრინციპებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით, რთული სისტემის ავტომატური მართვის სფეროში მოღვაწეობდა და დიდად შეუწყო ხელი საქართველოში კვალიფიციური სამეცნიერო და საინჟინრო კადრების აღზრდას.

## ხიდი

# შვიდი დღე „ტრადიციების ქვეყანაში"

1996 წლის აპრილში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკურმა ფაკულტეტმა პარიზის ელიტური ეკონომიკისა და კომერციული უმაღლესი სკოლის სტუდენტებს უმასპინძლა.

– საინტერესო ქვეყანაა საქართველო, მაგრამ არც ფრანგები ვართ თქვენზე ნაკლები პატრიოტები – თქვეს გამგზავრების წინ უცხოელმა სტუდენტებმა.

ფრანგი სტუმრები განსაკუთრებით ქართული მეგობრობითა და სითბოთი მოიხიბლნენ. ჯგუფის ხელმძღვანელმა ოლივიე მასშელმა აღნიშნა, რომ ქართველი მამაკაცები არაფრით ჩამოუვარდებიან ევროპელ ჯენტლმენებს და თურმე ყველაზე ხშირად სჩუქნიან მანდილოსნებს ყვავილების თაიგულს.

ფრანგ მეგობრებთან საუბრისას ასევე ნათლად გამოიკვეთა მათი სტუდენტური ცხოვრების არეალი. როგორც სტეფან გოლიემ თქვა, ფრანგი სტუდენტისათვის არ არსებობს პოლიტიკა. საერთოდ, ფრანგი ხალხი მსოფლიოში ყველაზე ნაკლებ პოლიტიზებულია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საფრანგეთში ყველა ფუფუნებით ცხოვრობდეს, ამიტომ ფრანგებს არ გაჰკვირვებიათ თბილისელი მათხოვრების დანახვა. ახალგაზრდობაში გავრცელებულმა კორუფციამ კი გააოცათ.

– ჩამოვედი, რათა უფრო ახლოს გავიცნო ქართველი ადამიანები და შევისწავლო ქართული ენა. მაოცებს თქვენი წეს-ჩვეულებები, ტრადიციები – გვითხრა ექსერ ულდუიმ.

რაც შეეხება ქართულ სამზარეულოს, იმედია, სტუდენტებს მწარე მოგონებები არ დარჩენიათ ჩვენი „მწარე" საჭმელების მიუხედავად.

ფრანგი სტუდენტები საქართველოში ჩამოსვლისთანავე განსაკუთრებული სიყვარულით მიიღო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა რამაზ სურომძემ. შეხვედრისას მან განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა ქართველი და ფრანგი სტუდენტების უფრო მჭიდრო მეგობრობასა და მათ შორის კონტაქტების გაღრმავებას.

სტუმრები შეხვდნენ საწარმოების ხელმძღვანელებს, მოინახულეს დედაქალაქისა და ქვეყნის ღირსშესანიშნავი ადგილები, კულტურის ძეგლები.

* * *

ქართველი და ფრანგი სტუდენტების გაცვლის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა ფრედერიკ გარბურემმა მადლობითა და გულთბილი მოკითხვით აღსავსე წერილი გამოუგზავნა ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-ტექნიკური ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ ალეკო ცინცაძეს.

1997 წლის აპრილში ახლა უკვე მშობლიურ ქვეყანაში ელიან ფრანგები მეგობრებს, რათა ქართველმა სტუდენტებმა ეიფელის კოშკიდან საკუთარი თვალით იხილონ პარიზი!

**ქეთი რაზმაძე.**
ჰტფ-ის ჟურნალისტიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტ.

საქართველოს რესპუბლიკა
№36, პარასკევი 14 თებერვალი, 1997 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სალაღობო

# ლიტერატურისმცოდნეობის „მარგალიტები“

ლიტერატურისმცოდნეობის მისამართით ზოგჯერ ამბობენ: მეცნიერება არაა, უფრო ჰობია, რადგან რამდენი მკვლევარიცაა, მხატვრული ნაწარმოების იმდენნაირი გააზრება არსებობსო. ამ თქმაში სიმართლის მარცვალი უთუოდ არის, რადგან პროფესიონალებს რომ თავი დავანებოთ, დამწყებ „ლიტერატურისმცოდნეთა“ ერთი ნაწილი აბიტურიენტების ის თხზულებებიც ნათელყოფს ზემოთქმულის სისწორეს, მისაღებ გამოცდებზე რომ წერენ: ცალკეული ლიტერატურული ფაქტისა თუ მოვლენის „ორიგინალური შეფასებანი“ მათ ნაწერებში ხანდახან მართლაც დამაფიქრებელია, რადგან „სამერმისო კვლევა-ძიებათა“ პერსპექტივებსაც კი შეიცავს ხოლმე.

ნათქვამის სარწმუნოობის მიზნით მკითხველის სამსჯავროზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მისაღებ გამოცდებზე მოპოვებული რამდენიმე საყურადღებო ნიმუში გამოგვაქვს.

მკითხველის „დაინტერესების“ შემთხვევაში რედაქცია მზადაა კვლავაც მიაწოდოს მსგავსი მასალა და ამით „ხელი შეუწყოს ქართული მწერლობის ცალკეული პრობლემის ღრმად და საფუძვლიანად გააზრებას“.

ზუზუასა და ონისეს ერთმანეთის ალერსში მტერი გამოეპარა.

საფარბეზის ჰაჯი-უსუპმა გამოზარდა საკუთარი ძუძუთი.

აშოტ კურაპალატმა დედოფალი არტანუჯის ციხეში ჩაამწყვდია.

აშოტ კურაპალატმა დედაკაცი სიძვისაი არტანუჯის მშენებლობაზე გაიცნო.

ზია-ხანუმმა თავისი საქციელით შემურტლა ქართველი ქალის სახელი.

შუშანიკის სახელმა თხუთმეტი წელი (საუკუნე) იბოგინა და დღეს წმინდანად მოგვევლინა მომავალ თაობას და სამშობლოს სიყვარულს გვინერგავს.

ვარსქენს თავისი სიკვდილი არ წერებია, ვახტანგ მეფემ დააკვლევია.

როგორც ყოველთვის, ქართველებს შორის აღმოჩნდა პიროვნება, რომელმაც გასცა ფშავ-ხევსურები და მტერი შემოუშვა ბახტრიონის ციხეში — ეს იყო წიწოლა.

თუმცა ეს ბრძოლა (ბახტრიონზე) ფშავ-ხევსურების დამარცხებით დამთავრდა, მაგრამ ვაჟა იმედს არ კარგავს.

არსაკიძემ თავისი შემოქმედება უძვირფასეს სამკაულად მოავლინა საქართველოს ზურგზე.

ვვიალაურისათვის მარტო თავი, მკლავი და ფეხები უნდა მოეჭრათ.

ქალი თავის სხეულს აძლევდა თათარს გასასინჯავად.

ბევრი მწყემსი ჯობია გომბიო მეფეებსო.

კესარიას ვებრძოდი და ხვიარასი მეშინოდაო.

ამაზე სპეტაკი და მწარე დაცინვა რომ არ შეიძლება?

დაკნეინებული აზნაურია პლატონ სამანიშვილი.

უსხო მოუმეს შავი ცხენის სადავე და მკლავის სიმსხო სახრე ეკავა და ტანზე ვეფხვის ტანისამოსი ეცვა.

არსაკიძეს მეფის შეყვარებული შორენა ჰყვარებია. ერთხელაც მეფეს მოუსწრია მათი ერთად ყოფნისას. ქალს გაქცევა მოუსწრია, მაგრამ საწმისური ბალიშის ქვეშ დარჩენიაო, შორენას გაახსენდა ერთი კვირის წინ დაკარგული სპილენძის საწმისური.

ამ დროს ავთანდილი ხეზე ავიდა და იქიდან უცქერდა, იქ მაღლა გამოქვაბული იყო, საიდანაც გამოვარდა ერთი ქალი, გადაეხვია და გადაკოცნა.

რეტდასხმულმა მწირმა სამინლად შეჰღაღა ღმერთი და იქვე სული განუტევა.

ქალი ვარზეა, ავთანდილმა ტერორს მიმართა, თმებში ჩაჰკიდა და ყელზე დანა დააბჯინა, ქალმა უთხრა, რაც გინდა გამიკეთე, მე მაინც ვარს ვეტყვით.

ფარსმან სპარსი დიდი დედათმავალი იყო.



ზამთრის თბილისი.

ბაჩი სულამანიძის ფოტო.

## ვწერენ

# რამდენს იმეტებს ზეციერი?

ვფიქრობ, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არ აინტერესებდეს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ საკითხის გასარკვევად გამოვიყენე: რუსული ერთტომეული ენციკლოპედიური სიტყვარი (გამოცემული მოსკოვში 1990 წელს), მათემატიკის დარგში მოღვაწეთა ბიოგრაფიული სიტყვარი (შედგენილი ა. ბოროდინისა და ა. ბუგაის მიერ და გამოცემული კიევში 1979 წელს), ჩემი საოჯახო წიგნი, რომელშიც აღრიცხული მაქვს ნათესავ-ნაცნობ-მეგობრების დაბადებისა და გარდაცვალების წლები, სულ 2137 გვარი, ვინაობის, ეროვნების, პროფესიის ჩვენებით და ა. შ.

ათეული წლების მიხედვით შევადგინე ჯამურად ცხრილი 0-40, 41-49, 50-59, 60-69, 70-79, 80-89, 90 და მეტი. დავადგინე:

2137 ადამიანს, სხვადასხვა საუკუნეებში მოღვაწეებს, 60-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლებს ჯამურად უცხოვრიათ 142605 წელი, რაც იძლევა თითოეული პიროვნების საშუალო სიცოცხლის 66, სამოცდაექვსი წლის, 8 თვისა და 3 კვირის ან 73 წლის ხანგრძლივობას.

დარწმუნებული ვარ გარდაცვლილთა მეტი რაოდენობაც რომ აღმერიცხა, სიცოცხლის საშუალო სიდიდე ბევრად არ შეიცვლებოდა (აღრე ასეთი ცნობები ამოკრეფილი მქონდა 1500 კაცზე).

აი, რა ცოტა სიცოცხლე გაუმეტებია ჩვენთვის „ზეციურ ძალას“.

85 წელს მიღწეული
ლ. ლალიაშვილი.

## ღიმილი

მხიარულთა და საზრიანთა შეჯიბრებაში საქართველოს 1992 წლის ჩემპიონის „შერეკილის“ არქივიდან.

— რატომ გადაკეთდა „გეპეი“ ტექნიკურ უნივერსიტეტად?

— აღარ გამოდიოდა ჩვენი პოლიტექნიკ-ოსობა და პოლიტექნიკსამაჩაბლოდ ხომ არ გადავკეთდებოდით?!

* * *

— გვყავს ეკონომიკური საბჭო, სამხედრო საბჭო, სნგ-ს საბჭო... საჭიროა ამ საბჭოებს შორის კავშირი.

— კარგია, საბჭოთა კავშირი გამოგვივა!

* * *

ხაზვის ლექტორმა „გეპეის“ სტუდენტის ნახაზზე დაკვირვებისას წინხედის, გვერდხედის და ზედხედის გარდა აღმოაჩინა მეოთხე ხედი — თავხედი!

* * *

„გეპეელის“ სიყვარულის ახსნის ქვის გამხეთქი არგუმენტები:

— ისე მიყვარხარ, როგორც დეკანს ფრიადოსნები!

— ჩემო ძვირფასო, ჩემი შენდამი სიყვარული ისეთი მტკიცეა და მარადიული, როგორც „გეპეიში“ სტუდენტად ყოფნა.

ჩაიწერა
ქრისტეფორე
ბარისულიძემ.

## განცხადებები

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

 აცხადებს მაგისტრატურაში მიღებას 1997 სასწავლო წლისათვის ქვემოთ ჩამოთვლილი ფაკულტეტებისა და მაგისტრატურის დეპარტამენტის დღის სწავლების საბიუჯეტო და ფასიანი განყოფილებების ლიცენზირებულ სპეციალობებზე:

1. სამშენებლო;
2. ენერგეტიკის;
3. სამთო-გეოლოგიური;
4. ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის;
5. მექანიკა-მანქანათმშენებლობის;
6. ფიზიკა-ტექნიკისა და ელექტრონიკის;
7. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების;
8. სატრანსპორტო;
9. კავშირგაბმულობის;
10. მეტალურგიის;
11. ჰიდროტექნიკისა და სანტექნიკის.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მიიღებიან მოქალაქეები, რომლებსაც მინიჭებული აქვთ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი, ან მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და აქვთ სათანადო დიპლომი.

მაგისტრატურაში შემსვლელებს შეაქვთ შემდეგი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე, სამაგისტრო მიმართულებისა და სამაგისტრო პროგრამის (სპეციალიზაციის) დასახელებებით;
2. უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, ნიშნების ფურცელთან ერთად;
3. ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია;
4. სამედიცინო ცნობა, ფორმა № 086;
5. ოთხი ფოტოსურათი, ზომით 3X4;
6. პასპორტს და სამხედრო დოკუმენტს მაგისტრატურაში შემსვლელი წარმოადგენს პირადად.

მაგისტრატურაში შემსვლელთა განცხადებები მიიღება შესაბამის ფაკულტეტებზე, ა. წ. 3 თებერვლიდან 12 თებერვლამდე.

საკონკურსო გამოცდები სპეციალობაში და გასაუბრებები უცხო ენასა და კომპიუტერული ტექნიკის საფუძვლებში ჩატარდება 12 თებერვლიდან 25 თებერვლამდე.

მაგისტრატურაში სტუდენტთა ჩარიცხვა განხორციელდება 25-28 თებერვალს. სწავლა დაიწყება 3 მარტს.

მაგისტრატურაში შემსვლელთათვის კონსულტაციები უცხო ენასა და კომპიუტერულ ტექნიკაში ტარდება მაგისტრატურის დეპარტამენტში, 15 იანვრიდან.

რექტორატი.

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აცხადებს

1. მსმენელთა მიღებას საინჟინრო გრაფიკის დეპარტამენტთან არსებული ელემენტური საინჟინრო გრაფიკის კოლეჯში.

კოლეჯში მიიღებიან საშუალო სკოლების X-XI კლასების მოსწავლეები.

მეცადინეობა დაიწყება 1997 წლის 10 მარტს. სწავლის ხანგრძლივობა — 4 თვე. კოლეჯის კურსდამთავრებული ღებულობს სპეციალურ მოწმობას კოლეჯის დამთავრების შესახებ.

2. მსმენელთა მიღებას საინჟინრო გრაფიკის დეპარტამენტთან არსებული გრაფიკული დისციპლინების მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების კოლეჯში.

კოლეჯში მიიღებიან უმაღლესი ტექნიკური ან მათემატიკური განათლების მქონე პირები.

მეცადინეობა დაიწყება 1997 წლის 10 მარტს. სწავლის ხანგრძლივობა — 4 თვე. კოლეჯის კურსდამთავრებული ღებულობს გრაფიკული დისციპლინების მასწავლებლის კვალიფიკაციას.

ორივე კოლეჯი სამეურნეო ანგარიშზეა. განცხადებები მიიღება ა.წ. 7 მარტამდე.

მისამართი: თბილისი, კოსტავას 77, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო გრაფიკის დეპარტამენტი (VI სასწავლო კორპუსის VIII სართულის „ა“ ბლოკი, № 803 ოთახი).

მთავარი რედაქტორი
თემურ
ჟაგოდნიშვილი.



საფრანგეთის ჩრდილოეთში 1000-მდე ავტობუსის მძღოლი აწყობს გაფიცვას, რომლის შედეგად ლილის რაიონში ტრანსპორტის მოძრაობა გადაიკეტა. ავტობუსის პარკების მოსამსახურენი მოითხოვენ, მიენიჭოთ პენსიაზე გასვლის უფლება არა 60, არამედ 55 წლის შესრულებისას.

## იქნება კომერციული სადაზვერვო თანამგზავრები

არცთუ შორეულ მომავალში საკრედიტო ბარათისა და სულ მცირე საბანკო ანგარიშის ნებისმიერ მფლობელს შეეძლება გაიგოს, რა ხდება რომელიმე დიქტატორის სამფლობელოში, ან უბრალოდ თავისი მეზობლის მაღალი მესრის იქით, წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი". ამაში მას დაეხმარება კომერციული სადაზვერვო თანამგზავრები, რომელთა გაშვება მიმდინარე წლის აპრილ-მაისში არის დასახული. სულ კი ათასწლეულის დამლევამდე დაგეგმილია გაუშვან 50-მდე ასეთი თანამგზავრი. ისინი ბოლოს მოუღებენ ორბიტიდან ჯაშუშობის მონოპოლიას, რომელიც ორმოცი წლის განმავლობაში ჰქონდათ ყველაზე განვითარებულ ქვეყნებს. ახალი, შეერთებულ შტატებში შემუშავებული სადაზვერვო თანამგზავრები მსურველთ საშუალებას მისცემენ, მიიღონ ფოტოსურათები, რომლებიც მკაფიოდ არ ჩამოუვარდება სამხედროს. ასეთ სურათებზე გამოჩნდება თვით მეტრიანი ობიექტები, ისეთები, როგორიც არის, მაგალითად აბაზანა ან ავტომობილი. „ნიუ-იორკ ტაიმსი" აღნიშნავს, რომ ახალი თანამგზავრები საფრთხეს შეუქმნიან პიროვნების უსაფრთხოებასა და უფლებებს. მაგრამ პროექტის ავტორებს არ სურთ იმსჯელონ ამგვარ საკითხებზე, რადგან ამტკიცებენ სადაზვერვო თანამგზავრების სარგებლიანობას კარტოგრაფების, სამართალდამცველი ორგანოების, ქალაქმშენებლებისა და სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდატორებისათვის.

## ამერიკელებმა იაპონიას მოუბოდიშეს

შეერთებულმა შტატებმა ოფიციალურად მოუხადა ბოდიში იაპონიას იმისათვის, რომ ერთი წლის წინათ ოკინავის კუნძულის მახლობლად წვრთნის დროს ამერიკის ჯარებმა შეცდომით გამოიყენეს ათას ხუთასამდე ჭურვი, რომელთა ქობინები მწირი ურანისაგან იყო დამზადებული, იუწყება როიტერის სააგენტო. იაპონიის ტერიტორიაზე შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების შეთანხმების თანახმად, ამერიკის შეიარაღებულ ძალებს ოკინავაში ეკრძალებოდათ ასეთი ჭურვების ქონა. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, მწირი ურანის ქობინიანი ჭურვები არასწორად იყო მარკირებული და ოკინავაზე შეცდომით მოხვდა. ცნობამ ინციდენტის შესახებ იაპონიაში გამოიწვია შეშფოთება შესაძლო რადიაქტიური დასნებოვნების გამო, მაგრამ მწირი ურანის ქობინიან ყუმბარებს დაახლოებით ისეთივე ტოქსიკურობა აქვთ, როგორც ტყვიას. მათ შეიძლება საფრთხე შეუქმნან ადამიანის ჯანმრთელობას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქობინებს შეჭამ, განაცხადა ერთერთმა ამერიკელმა ოფიცერმა. მიუხედავად ამისა, ცნობამ ინციდენტის შესახებ იაპონიის მხარეს მოუტანა კიდევ ერთი არგუმენტი ოკინავის ბაზებიდან ამერიკელ სამხედროთა გასაყვანად, რომელთაც იჯარის ვადა 14 მაისს ეწურებათ.



## ... და ამ შანსს კორჟაკოვი უთუოდ გამოიყენებს!

ამერიკის გაზეთ „მაიამი ჰერალდის" პოლიტიკური მიმომხილველი სტატიას უძღვნის ტულაში გამართულ რუსეთის სახელმწიფოს სათათბიროს დეპუტატის არჩევნებს. პრეზიდენტის უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის ალექსანდრე კორჟაკოვის გამარჯვება კრემლისათვის რამდენადმე მოულოდნელი იყო და შემდგომში შეიძლება დიდი პრობლემები მოუტანოს როგორც ელცინს, ისე მის გარემოცვას, თქვა სტატიის ავტორი. კორჟაკოვს, რომელიც დიდხანს იყო სუკ-ის თანამშრომელი და ბორის ელცინის ყორჩიბაში, ხელთ აქვს მთელი რიგი საიდუმლო დოკუმენტები, რომლებსაც შეუძლიათ ბოლო მოუღონ არა ერთი მაღალი თანამდებობის მოხელის პოლიტიკურ კარიერას. სათათბიროში ადგილი უშიშროების სამსახურის ყოფილ შეფს მოუტანს არა მარტო დეპუტატის ხელშეუხებლობას, არამედ, აგრეთვე, შესაძლებლობასაც – ამკარად გაილაშქროს თავისი მტრების წინააღმდეგ. და ამ შანსს კორჟაკოვი უთუოდ გამოიყენებს.

## საიდუმლო – 20 წლის შემდეგ

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებმა მკვეთრი ფორმით უარყვეს იაპონიის პრესის მტკიცებანი, რომ ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურები მონაწილეობდნენ 20 წლის წინათ 13 წლის იაპონელი გოგონას მოტაცებაში, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. 1977 წელს დაკარგული მეგუმი იოკოტას საიდუმლო ამოტივტივდა წინა კვირაში, როდესაც იაპონიის მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარეობს მორიგი ლტოლვილისაგან მიღებული ინფორმაციის შემოწმება, რომელსაც მეგუმი ჩრდილოეთ კორეაში უნახავს. გოგონა დაიკარგა გზაში, სკოლიდან შინ მიმავალი, იაპონიის ზღვის პირას მდებარე ქალაქ ნიიგატის მახლობლად. ასეთი ცნობები პირველად როდი იბეჭდება, აღნიშნავს ასოშიეიტედ პრესი. იაპონიის ხელისუფალნი ამტკიცებენ, რომ 1978 წელს სამი ოჯახური წყვილი პირდაპირ პლაჟიდან მოიტაცეს ჩრდილოეთ კორეის სპეცსამსახურებმა. მოტაცებული უნდა გამოეყენებინათ ჩრდილოეთ კორეის სადაზვერვო სამსახურებისათვის იაპონური ენისა და წესჩვეულებების მასწავლებლებად.

## უიგურები დამოუკიდებლობას მოითხოვენ

ჩინეთის პოლიცია ეძებს არალეგალურ პროისლამურ დაჯგუფებას, რომელსაც ბრალად ედება არეულობის გაღვივება რელიგიურ ნიადაგზე. არეულობა დაიწყო უიგურებით დასახლებულ ჩრდილო-დასავლეთის სინძიანის პროვინციაში, იუწყება ასოშიეიტედ პრესი. ჩინეთის ხელისუფალთა თქმით, ისლამის მიმდევარმა უიგურებმა მოაწყვეს დემონსტრაცია, შემდეგ დაერივნენ და სცემეს ეთნიკურ ჩინელებს, მერე კი მანქანებს ცეცხლი წაუკიდეს. უიგურების ძირითადი მოთხოვნაა დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა. პოლიცია უარყოფს, რომ ცეცხლი დაუშინა დემონსტრანტებს. მეზობელ ყაზახეთში გადახვეწილი უიგურების ვერსიით, პოლიციის სასტიკი მოქმედების შედეგად დაიღუპა სამასზე მეტი კაცი. ვერც ერთი ვერსია ვერ შემოწმდა, ვინაიდან ჩინეთის ხელისუფალნი, როგორც წესი, არ უშვებენ უცხოელ ჟურნალისტებს აფეთქებასაშიშ რაიონში. სააგენტო აღნიშნავს, რომ უიგურთა მოთხოვნები მათთვის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობის მინიჭების შესახებ განსაკუთრებით გაძლიერდა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირი დაიშალა და მის ტერიტორიაზე შეიქმნა ახალი სახელმწიფოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## „სამბას" ყველა ცეკვავს

რიო-დე-ჟანეიროში გაიმართა განთქმული კარნავალი. ბრაზილიის დედაქალაქის ქუჩებში ოთხ დღეს გრძელდებოდა ტრადიციული ცეკვისა და სიმღერის დღესასწაული. იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინათ შიდსით დაავადების შესაძლებლობა, ადგილობრივმა ხელისუფლებმა მოსახლეობას უფასოდ დაურიგეს ორ მილიონამდე პრეზერვატივი.

## გამოსავალი ერთია – კონსტიტუცია უნდა შეიცვალოს

რუსეთის პრეზიდენტის ბორის ელცინის ჯანმრთელობის გაუარესება მის უახლოეს თანამემწეებს უკარგავს ხვალინდელი დღის რწმენას, წერს ჟურნალი „ტაიმი". რაც უფრო უარესდება ელცინის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მით უფრო გადაუდებელი ხდება მისი გარემოცვისათვის ამოცანა, როგორმე გაძლონ ხელისუფლების სათავეში, სცენიდან პრეზიდენტის წასვლის შემდეგ, „ტაიმის" აზრით, ძირითადი პრობლემაა ის, რომ თუ ეს ხვალ მოხდა, ელცინის არც ერთ უახლოეს თანამემწეს არა აქვს შანსი, მოუგოს პრეზიდენტის არჩევნები გენერალ ლებედს. კრემლის დერეფნებში გამეფებული მკაცრი ლოგიკის თანახმად, გამოსავალი აშკარაა – უნდა შეცვალონ კონსტიტუცია.

აქ არის რამდენიმე ვარიანტი. ჟურნალის ინფორმაციით, ანატოლი ჩუბაისი იქით იხრება, რომ პრემიერ-მინისტრ ჩერნომირდინს მიენიჭოს უფლება, ასრულებდეს პრეზიდენტის მოვალეობას ელცინის წასვლის შემდეგ არა სამ თვეს, არამედ მომავალ არჩევნებამდე – 2000 წლამდე დარჩენილი დროის მანძილზე. მეორე ვარიანტი ის არის, რომ შეიქმნას სპეციალური ასამბლეა, რომელიც აირჩევს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს მთელი დარჩენილი ვადით, 2000 წლამდე. ამ ვარიანტს იზიარებს ვიქტორ ჩერნომირდინი, და, ბოლოს, ელცინის ყოფილმა პრესმდივანმა ვიაჩესლავ კოსტიკოვმა წამოაყენა წინადადება, მოხდეს პრეზიდენტის უფლებამოსილებათა ნაწილის დელეგირება საბჭოსადმი, რომელშიც მისი უახლოესი თანამემწენი შევლენ.

ასეა თუ ისე, წერს „ტაიმი", გენერალ ლებედის შესაძლო გახელისუფლება არ შეიძლება არ აღელვებდეს მსოფლიო საზოგადოებრიობას. ამ შემთხვევაში ხომ ლებედი მემკვიდრეობით მიიღებს ყველაზე ავტორიტარულ კონსტიტუციას ყველა იმ სახელმწიფოს მორის, ვინც დემოკრატიულად გახდომას ისწრაფვის. და მაშინ რუსეთი ლებედის სასტიკი შეხედულებებისა და პოლიტიკური ინსტინქტების სათამაშო გახდება, წერს დასასრულ „ტაიმი".

## ცოლის მოსაყვანად – კუბაში

ესპანელი გლეხების საინტერესო ექსპედიციას უძღვნის სტატიას „ტაიმსი". სალამანკის მახლობლად სოფელ არაბაიონიდან 30 გლეხი მიემგზავრება კუბაში ცოლის მოსაყვანად. ექსპედიციას სათავეში ჩაუდგება სოფლის მერი, რომელიც ცოლშეილიანია. „ვილაცამ ხომ უნდა უხელმძღვანელოს ამ ხალხს, გარდა ამისა, მე მათზე უკეთ ვერკვევი ქორწინების საკითხებში", – ამბობს მერი. არაბაიონელი გლეხები ერთადერთი ესპანელები როდი არიან, რომლებიც ცოლებს კუბაში ეძებენ. ესპანეთის ჰავანის გენერალური საკონსულო ყოველკვირეულად რეგისტრაციაში ატარებს 60 ქორწინებას ესპანელ მამაკაცებსა და კუბელ ქალებს მორის. შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციაც – ესპანელ ქალებსა და კუბელ მამაკაცებს მორის ქორწინებათა რაოდენობის ზრდა. მიუხედავად ამისა, ესპანელი მამაკაცების უმრავლესობა კუბას ნაკლებად კეთილშობილური მოტივებით ეტანება. ყოველ კვირაში თავისუფლების კუნძულზე იგზავნება 200 ავიარეისი, რომლებსაც გადაჰყავთ იაფ სექსს დახარბებული ათიათასობით ესპანელი. კუბა თანდათან იქცევა „ესპანურენოვან ბანგკოკად", სადაც სილატაკე ქალებს პროსტიტუციისაკენ უბიძგებს.

## „დისკავერის" ორკვირიანი რეისი

კანავერალის კონცხის კოსმოდრომიდან გავიდა მრავალგზისი გამოყენების ამერიკული კოსმოსური ხომალდი „დისკავერი", იუწყება როიტერის სააგენტო. ორკვირიანი ფრენის მიზანია 1990 წლიდან ორბიტაზე მყოფი „ჰაბლ" კოსმოსური ტელესკოპის უკვე მეორე მოდერნიზაცია. დაგეგმილია ორი ახალი ხელსაწყოს დაყენება მოძველებული დეტ[illegible]ბის გამოცვლა. კერძო[illegible] დაიდგმება ახალი მრავალმიზნობრივი ინფრაწითელი ფოტოკამერა და უახლესი კონსტრუქციის სპექტროგრაფი. „ხატოვნად რომ ვთქვათ, ჩვენ ვცვლით 70-იანი წლების ტექნოლოგიას 90-იანი წლების ხელსაწყოებზე", – განაცხადა „ჰაბლის" მთავარმა სპეციალისტმა ედ უეილერმა. ტელესკოპის ელემენტების გამოსაცვლელად ასტრონავტები 4-ჯერ გავლენ ღია კოსმოსში, ყოველი გასვლა 6 საათს გასტანს. მოელიან, რომ „ჰაბლიდან" ახალ ინფორმაციას მიიღებენ მოდერნიზაციის დამთავრებიდან 10 კვირის შემდეგ.

## რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობა

პრეზიდენტ ბორის ელცინის დავალებით შემუშავებულია რუსეთის გრძელვადიანი გეზი ბალტიის ქვეყნების მიმართ, რომლის მიზანსაც შეადგენს:

1. რეგიონული უშიშროების უზრუნველყოფა. ბალტიის ქვეყნების ნატოში შესვლა გახდებოდა სერიოზული დაბრკოლება ამ ქვეყნებსა და რუსეთს შორის, უაღრესად ნეგატიურ გავლენას მოახდენდა რეგიონში კონსტრუქციული თანამშრომლობის გრძელვადიანი მოდელის ფორმირების პერსპექტივებზე. და პირიქით, მათი შენარჩუნება ბლოკის სტატუსის მიღმა შექმნიდა საფუძველს ერთობლივი და ჩვენი ცალმხრივი, თანაც, სავსებით კონკრეტული ნაბიჯებისათვის, რომლებიც გააქარვებენ ბალტიის ქვეყნებში ჯერ კიდევ შემორჩენილ შიშს საკუთარი უსაფრთხოებისათვის.

2. ბალტიის ქვეყნებში მცხოვრებ თანამემამულეთა უფლებების დაცვა. ეს არის რეგიონში რუსეთის პოლიტიკის გრძელვადიანი ამოცანა. ჩვენს პრიორიტეტებს შორის არის ორმხრივი დიალოგის გზით პირობების შექმნა ესტონეთისა და ლატვიის ყველა იმ რუსულენოვანი მცხოვრებისათვის მოქალაქეობის მისანიჭებლად, რომლებიც მუდმივად იყვნენ ჩაწერილნი ამ ქვეყნების დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტისათვის, ნატურალიზაციის პროცედურების გამარტივება, დაბადებით მოქალაქეობის უფლებისა და ოჯახების გაერთიანების უფლების უზრუნველყოფა, ესტონეთში მართლმადიდებელ მორწმუნეთა შევიწროობის შეწყვეტა. ჩვენი ეს პოზიცია ეყრდნობა ადამიანის უფლებათა დარგის ევროპულ სტანდარტებს და არაფერი აქვს საერთო ბალტიის სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევასთან.

3. ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. რასაც აფერხებს, კერძოდ, ურთიერთობათა მეუწონასწორებლობა. რუსული საქონლის, უწინარეს ყოვლისა, ენერგომშმცველებისა და ფერადი ლითონების ტრანზიტისა და რეექსპორტის შესაძლებლობანი ბალტიის ქვეყნებში ხშირად გამოიყენება რუსეთის საზიანოდ. აშკარაა, რომ აუცილებელია გაძლიერდეს სახელმწიფო რეგულირება და საბაჟო კონტროლი, აგრეთვე, რუსეთის ტვირთის ტრანზიტის არხების გონივრული დივერსიფიკაცია. ამიტომ პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული რუსეთის გეზი ბალტიის ქვეყნების მიმართ ითვალისწინებს კონკრეტულ მოქმედებას მთელი რიგი მიმართულებებით.

მთლიანად კი მიგვაჩნია, რომ სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის ერთადერთი მტკიცე საფუძველი შეიძლება გახდეს ნაცვალგება. უდავოდ პერსპექტიულია რუსეთის კაპიტალის პოზიციების განმტკიცება ბალტიის ქვეყნების ეკონომიკაში, სასაზღვრო ურთიერთობის განვითარება საერთოსახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის, ხელშემწყობი სატრანსპორტო პირობების შექმნა კალინინგრადის ოლქისათვის.

4. ბალტიის ქვეყნებთან რუსეთის სახელმწიფო საზღვრის საერთაშორისო-სამართლებრივი გაფორმება. ჩვენ მტკიცედ უარვყოფთ ლატვიის უსაფუძვლო ტერიტორიულ პრეტენზიებს. ასევე მიუღებელია ჩვენთვის ესტონეთის მისწრაფება ამოგლიჯოს სასაზღვრო საკითხი ორმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციისა და განვითარების ზოგადი კონტექსტიდან. ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ რუსეთ-ესტონეთის სასაზღვრო ხელშეკრულების ხელმოწერას თან უნდა სდევდეს კონკრეტული ღონისძიებანი ესტონეთის რუსულენოვანი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

5. ბალტიის ტერიტორიიდან რუსეთისადმი კრიმინალური საფრთხის ლიკვიდაცია. ეს არის რუსეთის საზოგადოებისა და მისი მოქალაქეების უსაფრთხოების პრობლემა, რომელიც სულ უფრო მწვავედ დგება. რუსეთისა და ბალტიის სახელმწიფოების სამართალდამცველ უწყებათა თანამშრომლობის წინსვლასთან ერთად უნდა უზრუნველვყოთ ეფექტიანი სასაზღვრო თანამშრომლობა. ჩვენს საერთო ინტერესებს შეესაბამება ძალისხმევის გაერთიანება არალეგალური მიგრაციის, ორგანიზებული დამნაშავეობის, იარაღის, ნარკოტიკების, სტრატეგიული ნედლეულის, კონტრაბანდისადმი წინააღმდეგობისათვის. რუსეთის წინადადებაა აქტიურად ავამოქმედოთ ამ მიზნით შესაბამისი ჯგუფის შესაძლებლობა ბალტიის ზღვის სახელმწიფოთა საბჭოს ფარგლებში.

6. კულტურულ-საინფორმაციო თანამშრომლობის განვითარება. რუსეთში შექმნილია პირობები ბალტიისქვეყნელი ჟურნალისტების, მწერლების, ხელოვნების მოღვაწეების ნაყოფიერი მუშაობისათვის, რომელსაც არა აქვს არავითარი დისკრიმინაციული შეზღუდვები. ჩვენ კვლავაც ვილვაწებთ, რათა ასეთი ურთიერთსასარგებლო გაცვლა ატარებდეს ორმხრივ ხასიათს, ხელს უწყობდეს ბალტიის ქვეყნებში რუსული „კულტურული იმპერიალიზმის" გამო ჯერ კიდევ აღმოუფხვრელი შიშის დაძლევას.

რუსეთი დაინტერესებულია იმით, რომ მაქსიმალურად ფართოდ გამოვიყენოთ თანამშრომლობის მექანიზმები გაეროს, ევროკავშირის, ეუთოს, ევროპის საბჭოს ფარგლებში, რათა დავძლიოთ არსებული პრობლემები და ჩამოვაყალიბოთ კონსტრუქციული ორმხრივ ხელსაყრელი ურთიერთობა ბალტიის ქვეყნებთან.

მოსკოვი, კრემლი.

1997 წლის 12 თებერვალი.



პრეზიდენტ სლობოდან მილოშევიჩის გადაწყვეტილების მიუხედავად, რომელმაც ცნო ადგილობრივ არჩევნებში ოპოზიციის გამარჯვება, ბელგრადის უნივერსიტეტის სტუდენტები განაგრძობენ პროტესტებს.

## სამხედრო დამნაშავეთა შესაპყრობად

შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს დაგეგმილი აქვთ ბოსნიაში განახორციელონ ოპერაციების სერია, რათა შეიპყრონ და ჰააგის საერთაშორისო სამსჯავროს გადასცენ ის პირნი, ვისაც ბრალად ედება ადამიანობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულობანი, წერს „დეილი ტელეგრაფი", რომელიც იმოწმებს დიპლომატიურ და სამხედრო წყაროებს. გაზეთის ინფორმაციით, ყველაზე მეტი მხარდაჭერით სარგებლობს ჯერჯერობით გარეთ მყოფი 66-ვე სამხედრო დამნაშავის ერთდროული დაპატიმრების გეგმა. ოპერაციას განახორციელებენ სამი ქვეყნის ელიტარული სპეცქვედანაყოფები. ამასთან, მათ დაეხმარებიან ბოსნიის მშვიდობის ხელშემწყობი საერთაშორისო ძალების ქვედანაყოფები, რომლებიც არ მიიღებენ უშუალო მონაწილეობას ოპერაციაში, რათა თავიდან აიცილონ შურისგების აქტები.

„დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ დასავლეთის ქვეყნები მეტს აღარ დავობენ პრინციპებზე, ისინი მხოლოდ განიხილავენ რეალიზაციის მეთოდებს. შიში, რომ სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრება გამოიწვევს ბოსნიის სამშვიდობო პროცესის დესტაბილიზაციას, თანდათან გაქრა. უფრო მეტიც, სულ უფრო პოპულარული ხდება ის აზრი, რომ შერიგების პროცესს უმთავრეს საფრთხეს უქმნიან სწორედ მასობრივი მკვლელობების, წამებისა და გაუპატიურებათა ორგანიზატორები, რომლებიც ჯერაც არ არიან დაჭერილნი. „დეილი ტელეგრაფი" აღნიშნავს, რომ ტექნიკურად ბოსნიაში შეფარებულ სამხედრო დამნაშავეთა დაპატიმრება არ წარმოადგენს დიდ სირთულეს, რადგან მათი უმრავლესობის ადგილსამყოფელი კარგად არის ცნობილი.

## ფრანგული საზოგადოების ამერიკანიზაციის შესაჩერებლად

„ინტერნეტის" კომპიუტერული ქსელი დამღუპველ გავლენას ახდენს ფრანგულ ენაზე, წერს ირლანდიის გაზეთი „აირიშ ტაიმსი". ასეთი დასკვნა გამოიტანეს საფრანგეთის მთავრობის წევრებმა მას შემდეგ, რაც აღმოაჩინეს, რომ ქვეყანაში „ინტერნეტით" შემოსული მთელი ინფორმაციის 85 პროცენტზე მეტი ინგლისურ ენაზეა. ეყრდნობა რა 1994 წლის კანონს, რომელიც ზღუდავს ადგილობრივი ტელევიზიით ამერიკული ტელეგადაცემებისა და ფილმების ჩვენებას, საფრანგეთის კულტურის სამინისტრომ წამოაყენა წინადადება ითარგმნოს ინფორმაციის ნაწილი ინგლისურიდან ფრანგულ ენაზე. ქვეყნის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის აზრით, ეს ხელს შეუწყობს ფრანგი საზოგადოების ამერიკანიზაციის შეჩერებას, წერს „აირიშ ტაიმსი".

## ბრალი ედება...

ბრიტანული „ტაიმსი" თავის სტატიაში აშუქებს დავას საფოსტო მტრედების მფლობელებსა და მტაცებელი ფრინველების დამცველებს შორის. დავის საბაბი გახდა მტრედების მფლობელთა საჩივრები იმის გამო, რომ მათი ნახევარ მილიონამდე აღსაზრდელი მტაცებელი ფრინველების მსხვერპლი ხდება. რამდენადაც საფოსტო მტრედის ღირებულება საშუალოდ 200 გირვანქა სტერლინგს შეადგენს, სამტრედეების ბევრი მფლობელი კარგავს ინტერესს ამ ფრინველების მოშენებისადმი. ითვლება, რომ მტრედებს მუსრს ავლებენ მიმინოები და შევარდნები, რომელთა პოპულაცია ამ ბოლო წლებში ძლიერ გაიზარდა. მაგალითად, ერთი მიმინო წელიწადში 300-მდე მტრედს ჭამს. მტაცებელი ფრინველების დამცველებმა განაცხადეს, რომ მტრედების დანაკარგთა ციფრები მეტისმეტად გაზვიადებულია, ვინაიდან ვერც ერთმა მხარემ ვერ წარმოადგინა თავისი სიტყვების დამამტკიცებელი საბუთები. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ განკარგულება გასცა მოეწყოს დამოუკიდებელი გამოძიება მტაცებელ ფრინველთაგან მტრედების დაღუპვის გამო.

## ძროხამ მიმართა... სასამართლოს



გერმანელმა ფერმერმა ტომას ვარნკერნმა თავისი ალპური ჯიშის ფური მიიყვანა ბრემენის სასამართლოსთან, რომელსაც მიმართა არზით გადაუდოს „ლამჭზოს" (ასე ჰქვია ძროხას) „გარემოებათა გამორკვევამდე" გფრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოტანილი სიკვდილის განაჩენი. ძროხა ინგლისშია ნაყიდი. ხოლო სამინისტრომ მიიღო გადაწყვეტილება, სასაკლაოზე უკრან თავი ინგლისიდან ჩამოყვანილ 5200 სულ მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს იმის შიშით, რომ ისინი შეიძლება დასნებოვნებული იყვნენ ღრუბლოვანი ენცეფალიტის ვირუსით, რომელიც ადამიანთა ჯანმრთელობისათვის სახიფათოდ არის მიჩნეული.

## მწველი სიყვარულის შედეგი

თუ თქვენ ცოტა ხნის წინათ დაბრუნდით რუსეთიდან და მოულოდნელად ათაშანგის ან სუსუნატის სიმპტომები აღმოგაჩნდათ, ნუ გაიოცებთ, ურჩევს მკითხველს ბრიტანული „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი. საქმე ის არის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს პირველი ადგილი უკავია მსოფლიოში ვენერიულ სნეულებათა გავრცელების მხრივ. როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, ინგლისელებმა უკვე მოასწრეს შეიგრძნოთ „რუსი ქალების მწველი სიყვარულის შედეგები". ამ ბოლო დროს ექიმებს მიმართა ოთხმა ბიზნესმენმა, რომლებიც „რუსმა საპატარძლოებმა" ათაშანგით დააჯილდოეს. ვენერიულ სნეულებათა გავრცელება პურიტანულ ინგლისში გაუგონარი ამბავია, მიაჩნია სტატიის ავტორს. და მაშასადამე, ინგლისელებმა ან საერთოდ უნდა დაივიწყონ რუსი ქალების არსებობა, ანდა... არ უნდა აცუნდრუკდნენ.

## „ლოს-ანჯელეს ტაიმსი" ელცინის ეპოქის შესახებ

უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე რუსეთს არ ჰყოლია არც ერთი ჯანმრთელი ხელმძღვანელი მიხეილ გორბაჩოვის გარდა, წერს ამერიკის გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი". დღევანდელი სიტუაცია რუსეთში ძალზე წააგავს ბრეჟნევის, ჩერნენკოსა და ანდროპოვის მმართველობის უკანასკნელ წლებს. თუ წინათ შეიძლებოდა ლაპარაკი ელცინის „კარგახსნილობაზე", დღეს პრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით კრემლის პოლიტიკოსთა განცხადებებში სიყალბე იგრძნობა. კრემლში ელცინის არყოფნა არათუ არყევს მისი როგორც სახელმწიფო მეთაურის ავტორიტეტს, არამედ ათასგვარი მითქმა-მოთქმის საბაბიც ხდება. მაგალითად, გერმანულმა ჟურნალმა „ბილდმა" გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც გამოთქვამს ვარაუდს, რომ ელცინს უკვე ორი წელიწადია პარკისონის დაავადება სჭირს. საერთოდ კი, დასავლელ ანალიტიკოსთა აზრით, „ელცინის ეპოქა" დასასრულს უახლოვდება და რუსეთს ახალი პრეზიდენტი სჭირდება.

## ღმერთმა გაძლება მისცეთ

სუპერბრილიანტის ქორწილი გადაიხადეს კალიფორნიელებმა ჯორჯ კურონმა და მისმა მეუღლემ ჯეინელმა. ისინი 80 წელიწადია, ერთად ცხოვრობენ. კურონები მთელ მსოფლიოში ყველაზე ხანდაზმულ წყვილად ითვლებიან. ქმარს ასი წელიწადი შეუსრულდა, ცოლს კი 98.



უცხოეთის გაზეთების, სააგენტოების, საინფორმაციო ბიურო „მედიანას" და „პლანეტა–ფორტეს" მასალების მიხედვით.

უძღვება
არჩილ მანჯგალაძე.

## პასუხი წერილზე

# „ვნებათაღელვა დაკარგული ფერწერული ტილოების გამო, რომლებიც, როგორც ირკვევა, ჯერ არ დაუხატავთ“

„საქართველოს რესპუბლიკამ“ შარშან 4 დეკემბერს გამოაქვეყნა ზაურ მაკარაძის სტატია, ცილისწამება, რომელშიც აშკარად ჩანს შს სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელთა, დაინტერესებულ პირთა წრის დაკვეთა.

შს სამინისტროს მუშაკები გურამ ქარქაშაძე, რეზო შარამენიძე და სხვები, ყველა ღონეს ხმარობენ საქმეში ჩაუხედავი სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა შესაცდენად, რასაც ამჯერად მიაღწიეს კიდეც საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ორდე ბებიასა და გამომძიებელ გია წამალაშვილის გამოყენებით, რომლებმაც საქმეში არსებულ მასალებს არ მისცეს სათანადო შეფასება და თითქმის ყველა ფაქტის რეალობა დამახინჯებით ასახეს 1996 წლის 30 ივლისის დადგენილებაში. პოზიციის გასამაგრებლად კი უკანონო დადგენილება გენერალურ პროკურორს დასკვნაზე ხელმოწერით „დააკანონებინეს“. სანამ ცილისმწამებლური ფაქტების გაბათილებას დავიწყებდე, მინდა, ვაცნობო საზოგადოებას, რომ სტატიის ავტორი ზაურ მაკარაძე, რომელსაც ფიზიკურადაც არ ვიცნობ, შს სამინისტროში მუშაობს. არ უნდათ, ჩემს მიერ წამოჭრილ არაერთ საკითხში სამართლიანობა აღდგეს, რადგან მათ ხელთ უპყრიათ „კანონიერების“ სადავეები და თუ სამართალი იარსებებს, მათ „მუშაობას“ ფასი ეკარგება.

ახლა მინდა ვკითხო წერილის ავტორს: თქვენ მაინც თუ მიცნობთ ფიზიკურად? როცა კალამს ხელი მოჰკიდეთ და ჩემი „ბიოგრაფიის“ თხრობას მოჰყევით, გოდერიძე ორჯერ პასუხისგებაშია ნამყოფი ყალბი საბუთების გაკეთებისათვის, ამ საქმის დიდოსტატი და სახელმწიფო ქონების დამტაცებელიო, რა იურიდიული საბუთით დაამტკიცებთ ამას?

წერილს იწყებთ იმით, რომ მე, ნათელა გოდერიძე, საქართველოს შს სამინისტროსაგან ვითხოვ დაკარგული ნივთების საფასურს 9000 დოლარს და 6819000 რუბლს. თქვენ რომ ცოტათი მაინც დამოუკიდებლად გეაზროვნათ, მთლიანად არ მოექცეოდით ჩემს წინააღმდეგ გამოლამქრებული პოლიციის მუშაკების გავლენის ქვეშ, საქმეში ჩაიხედავდით და დაინახავდით, რომ 1988 წლიდან დაწყებულ ქონებრივ დავაზე, 1994 წლის 19 აგვისტოს და 1995 წლის 31 იანვარს სისხლის სამართლის საქმე № 0688034-ში არსებული დოკუმენტაციის საფუძველზე, საქართველოს პროკურატურის მოკვლევისა და გამოძიების კანონიერებაზე ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა რამაზ ელენგმა საქართველოს სსსკ-ის 52 პრიმა და 92-ე მუხლების საფუძველზე გამოიტანა დადგენილებები: „მოკვლევისა და გამოძიების ორგანოს მუშაკთა დაუდევრობით მიყენებული ქონებრივი ზარალი 9000 დოლარი და 6819000 რუბლი გაცემის დღისათვის სათანადო ინდექსაციით ეროვნულ ვალუტაში ნათელა გოდერიძეს გადაუხადოს შს სამინისტროს საფინანსო სამმართველომ, თანამშრომლებზე რეგრესის წესის შენარჩუნებით“ (ეს თანხა დღეისათვის 60 000 ლარია). აღნიშნული დადგენილება საქა[illegible] გენერალური პრო[illegible] მოადგილის რევაზ [illegible] მიწერილობით აღსა[illegible]ად გაიგზავნა შს სა[illegible]ში.

შს სამინისტროში, რომელსაც ჯარიმა დაეკისრა, ასეთი პრეცენდენტი არ ყოფილა. ამოძრავდნენ გ. ქარქაშაძე და რ. შარამენიძე, რომლებმაც ადრე უკანონოდ დამდეს ბრალი სახელმწიფო ქონების დატაცებაში (რამეც დღეს გამართლებული ვარ საქართველოს პროკურატურის მიერ), მერე ჩაატარეს „მოკვლევა“ ქონებრივ ზარალზე საქართველოს პროკურატურის დადგენილებით დადგენილ ფაქტებზე და „მონაკვლევი“ მასალები დადგენილების აღუსრულებლად გაუგზავნეს საქართველოს პროკურატურას. რაც ეწინააღმდეგება მოქმედ საპროცესო ნორმებს.

საქართველოს პროკურატურამ 1995 წლის 31 იანვარს დადგენილების გაუქმების გარეშე 1995 წლის 26 აპრილს სისხლის სამართლის საქმე აღძრა მოკვლევისა და გამოძიების ორგანოს მუშაკთა მიმართ ნათელა გოდერიძისათვის ქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტზე (ავტორი ზაალ ჩერქეზიშვილი), რომელსაც „იძიებდა“ საქართველოს გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატის გამომძიებელი გია წამალაშვილი. მან ყველაფერი გააკეთა არსებულის არარსებობის დასამტკიცებლად. მოწმეებად გამოიყენა ის პირები, რომელთა ცრუ ჩვენებებით დამედო ბრალი და მსჯავრი. დაიკითხნენ ასევე სხვა მოწმეებიც, მთაწმინდის რ-ნის № 70 სს უბნის ყოფილი უფროსი ვაჟა თოფჩიშვილი, ინჟინერი მუშნი გულბანი, ოსტატი ნოდარ ალექსიშვილი, სამუშაოს მწარმოებელი მირიან ოგანესიანი, რომლებმაც დაადასტურეს ჩემი საკუთარი ბინიდან რემონტის გამო ჩემს სამუშაო ოთახში 31 და მეტი დასახელების პირადი ნივთების გადატანის და იქ არსებობის ფაქტი სამუშაო კაბინეტის დალუქვამდე, მაგრამ იგი გაზიარებული არ იქნა. ჩემი პირადი ნივთების, მათ შორის, მოსე თოიძის „ქალის პორტრეტის“ და ალ. ციმაკურიძის „ბუნების პეიზაჟის“ ფერწერული ტილოების რეალურად არსებობის ფაქტი, ასევე დადასტურებულია საქმეში არსებული ჩვენებებით: ელიზავეტა ბლამენკოს, ციცინო ჭონქაძის, გულიკო ტორაძის და სხვა უამრავი პირების მიერ. მაგრამ უკანონო დადგენილებების მიღებისას გამომძიებელმა გია წამალაშვილმა სარწმუნოდ მიიჩნია № 70 სს უბნის მუშაკების ნანული ჭიჭინაძის, ეთერ ბაციკაძის, ნინელი ბარდაძის, ოფელია გრიგორიანის, ციალა დემანიას ცრუ ჩვენებები. ე. ი. იმ პირების, რომლებიც არარსებულ დანაშაულში მამხელდნენ, მოითხოვდნენ ჩემს იზოლირებას, შემდეგ კი — უმაღლეს სასჯელს. წლების განმავლობაში კი ოფიციალურად წერენ: „ჩვენ მოვკლავთ გოდერიძეს, თუ მას აღადგენთ სამუშაოზე, რადგან მან სახელმწიფო ქონება „მიიტაცაო“. ყველა ინსტანციებისადმი გაგზავნილი კოლექტიური წერილებით იტყობინებიან ასევე: „არ დაუჯეროთ, გოდერიძეს არანაირი ნივთები არ ჰქონიაო“, მაშინ როდესაც ჩემივე ოთახში არსებული პირადი ნივთებით მამხელდნენ არარსებულ „დანაშაულში“, რისი მამტკიცებელი ყველა განცხადება საქმეშია: იმისათვის, რომ მკითხველი იოლად გაერკვეს ვითარებაში, მე დავიწყებ იქიდან, თუ ვინ არის ნანული ჭიჭინაძე და რით დააინტერესა იგი პოლიციამ. ნანული ჭიჭინაძე და მისი ხროვა წარმოადგენენ ქალებს, რომლებმაც გაწითლება არ იციან... და რომლებისთვისაც ტყუილს და მართალს ერთნაირი ფასი აქვს, რადგან მათ არასოდეს არ სჯიან. აი, საიდან დაიწყო ყველაფერი: 1987 წელს პარტიის მთაწმინდის (ყოფ. კალინინი) რაიკომის ბიურომ სამსახურიდან მოხსნა და პარტიიდან გარიცხა უბნის უფროსი ვაჟა თოფჩიშვილი. უსამართლოდ შერისხული უფროსის დასაცავად შევისწავლე საქმე და დავამტკიცე მისი უდანაშაულობა. საქმის შესწავლისას აღმოვაჩინე ასევე რეკონსტრუქციის ზონაში შემავალ მელიქიშვილის ქ. №31-იდან № 49-ის ჩათვლით სახლებში არა ერთი მოქალაქის ფიქტიურად, ძველი წლებით ჩაწერის ფაქტი, რომლებზედაც თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამოყოფილი ჰქონდა ბინები, მაშინ, როდესაც ეს პირები პარალელურად ჩაწერილები იყვნენ ფოთში, ზუგდიდში, სიღნაღში, წნორში, თბილისის სხვადასხვა რ-ნებში და მათზე ირიცხებოდა ბინები. ამ „კეთილშობილური“ საქმის შემსრულებლები იყვნენ პასპორტისტები — ნანული ჭიჭინაძე და ეთერ ბაციკაძე, ბუღალტრები ნინელი ბარდაძე და მარინა გუგენიშვილი, მილიცია, აღმასკომი, სამისამართო ბიურო, მთაწმინდის სს ტრესტი და სხვა უწყების წარმომადგენლები, რაზედაც მოხსენებითი ბარათი წარვუდგინე პარტიის მაშინდელი რაიკომის პირველ მდივანს ვაჟა ლორთქიფანიძეს, აღმასკომს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს... სწორედ აქედან დაიწყო ყველაფერი. საქმეში ჩახედვა და განგაშის ატეხა არ მაპატია არც ერთმა უწყებამ. რაიკომმა, ნაცვლად იმისა, რომ გვერდით დამდგომოდა და სიმართლე დაეცვა, სპეცდავალებით შემოგზავნა მთაწმინდის პოლიცია, რათა შეექმნათ ჩემი დაპატიმრებისთვის საჭირო მასალები, რაზედაც არაერთმა პირმა დაწერა განცხადება ზემდგომ ინსტანციებში, მაგრამ...

1988 წლის 13 მაისს № 61 საბინაო საექსპლუატაციო უბნის უფროსის თანამდებობიდან გამათავისუფლეს ახლად დანიშნულ უბნის უფროსზე როლანდ ფრუიძეზე ბეჭდის გადაუბარებლობის მოტივით, სინამდვილეში კი, იმის გამო, რომ შეხება არ მქონოდა საბუთებთან, რომლის დალუქვასა და საქმის შესწავლას ვითხოვდი ზემდგომებიდან. შემოწმება მხოლოდ ჩემი სამუშაოდან გათავისუფლების შემდეგ დაიწყო და მიუხედავად ტენდენციურობისა, ფაქტები დოკუმენტური რევიზიის აქტით დაადასტურა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კომისიამ, და მასალები შემდგომი რეაგირებისათვის საქართველოს პროკურატურას გადაეგზავნა.

საქ. პროკურატურის საზედამხედველო სამმართველომაც დაადასტურა სინამდვილე, შეიტანა წარდგინება თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში და მასალები, საქმეზე გამოძიების ჩატარების მიზნით, ქ. თბილისის პროკურატურას გაუგზავნა.

ქ. თბილისის პროკურატურაში №61-სს უბნის (ამჟამად №70) პასპორტისტების ნანული ჭიჭინაძისა და ეთერ ბაციკაძის სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისას ამოძრავდნენ ბრალდებულები, მათი ახლობლები, მათთან საქმეში გამავალი სოლიდური თანამდებობის პირები და ფიქტიურად ჩაწერილი პირები, რომლებმაც 1989 წლის 15 მარტს უკანონო პატიმრობის „პატივი“ მარგუნეს. აბსოლუტურად უდანაშაულოს ბრალი და მსჯავრი დამდეს (მოსამართლე ვოვა წერეთელი, პროცესში მონაწილე პროკურორი იური გაბისონია, სანქციის გამცემი პროკურორი (აწ გარდაცვლილი მიხეილ ქურდაძე, გამომძიებელი ბადრი სვანიძე) ბრალიც და მსჯავრიც ნანული ჭიჭინაძისა და მისი ხროვის ჩვენებებზე აიგო, ისინი თავგამოდებით ამტკიცებდნენ, რომ მე, ნ. გოდერიძემ, 1987 წლის 21 სექტემბრიდან უბნის უფროსად დანიშნულმა პირმა, 1985-86 წლებში ამავე უბანში ე. წ. მკვდარ სულებად მივიღე და გავაფორმე მუშები ფორჩხიძე, ფიფია, ხოკერაშვილი და სხვები, რაც ერთსულოვნად გაიზიარა პოლიციამ, პროკურატურამ და სასამართლომ. ახლაც ერთსულოვნაც იზიარებენ მათ ჩვენებებს ჩემი პირადი ნივთების არარსებობაზე, რაც დაინტერესებულმა პირებმა თავად გადაინაწილეს და ახლა ქვეყანას ძრავენ პოლიციის მუშაკებთან ერთად „გოდერიძეს არაფერი ჰქონდა და არც დაუკარგავსო“. პასპორტისტ ნანული ჭიჭინაძესთან „შეხმატკბილებულმა“ ქ. თბილისის პროკურატურამ, მთაწმინდის პროკურატურამ და შს სამინისტროს საგამოძიებო სამმართველომ მისი და სხვათა ბრალდების ათასგზის დოკუმენტურად დადგენილ ფაქტებზე სისხლის სამართლის საქმე დაუდასტურებლობით შეუწყვიტეს (ავტორები გურამ ქარქაშაძე, რეზო შარამენიძე, ნანა აბულაძე, მიშა მამნიაშვილი, გია აბაშიძე, ბესიკ მჟავანაძე, გოგი მდივანიშვილი, ზურაბ აბდუშელიშვილი, გურამ სვანიძე). უფრო მეტიც, სისხლის სამართლის საქმიდან გამომძიებელმა ბესიკ მჟავანაძემ და მიშა მამნიაშვილმა არაერთი წიგნი და დოკუმენტი გაანადგურეს ბრალდებულების ბრალის მისაჩქმალად, ხოლო რეზო შარამენიძემ და ნანა აბულაძემ ხელმოწერები გადაჩხაზნეს ექსპერტიზისთვის უვარგისი რომ ყოფილიყო... ახლა ხომ ხედებით, რა კავშირში არიან დამნაშავეთა სამყარო და „სამართალდამცავი“ ორგანოს წარმომადგენლები? განა მათ ამ ეტაპზე ერთმანეთის ზურგისქცევა შეეძლებათ? საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო სამმართველომ 1994 წლის 17 დეკემბრის და 1996 წლის ოქტომბრის დადგენილებებით მთაწმინდის რაიონის № 70 სს უბნის პასპორტისტების ნანული ჭიჭინაძის, ეთერ ბაციკაძის, ბუღალტრების ნინელი ბარდაძის და მარინა გუგენიშვილის, მათ მიერ გამოყენებული ლიფტიორი ციალა დემანიას და სხვა პირთა დანაშაულობები დაადასტურა, ასევე გამომძიებელთა მოქმედებები, განაახლა საქმეზე ძიება და იგი ისევ ქ. თბილისის პროკურატურას დაუქვემდებარა ნ. ჭიჭინაძის, ე. ბაციკაძის და ნ. ბარდაძის სამუშაოდან გადაყენების მოთხოვნით, რომელთა ხელშია საძიებო საბუთები, მაგრამ უშედეგოდ (ავტორები მერაბ გელოვანი, ილია გადალაძე). ნანული ჭიჭინაძეს დღემდე ხელი ვერ ახლეს, რადგან მან ყველა გასვარა თავის ბინძურ საქმიანობაში და შიშით ხმას ვერ იღებენ... მე კი მხოლოდ ქ. თბილისის დღევანდელი პროკურორის ბატონ. ნ. გაბრიჩიძის მიკვირს: თქვენ ხომ სუფთა ხართ ამ საქმეში ბატონო ნუგზარ და რა მოგდით?

ჩემს მიერ დასმული ექვსივე საკითხი ყველა ინსტანციამ შეისწავლა, შესაბამისი დასკვნებიც გააკეთა, დავალებებიც დაიგზავნა, მაგრამ უშედეგოდ. პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა, როგორც წინა მოწვევის დროს, ისე დღესაც, წერილობით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, რომლის მხრიდანაც გაიგზავნა დავალებები, მაგრამ უშედეგოდ. ახლაც ვთხოვ პრეზიდენტს — ჩემს 9 წლიან გაჭიანურებულ საქმეზე ყურადღებას, რადგან კანონის უზენაესობა არავინ მოისურვა. თვით საქართველოს პროკურატურამ ერთი და იგივე მასალებით ორი სხვადასხვა დადგენილება მიიღო.

საქართველოს პროკურატურის გამომძიებელმა გია წამალაშვილმა და მისმა თანაშემწემ, იმისათვის, რომ ჩემი კუთვნილი ფერწერული ტილოების არარსებობა დაემტკიცებინათ, № 13 საკომისიო მაღაზიის დირექტორისა და „თანამოწმეების“ თანდასწრებით 9 წლის წინ განადგურებულ სარეგისტრაციო ჟურნალის დათვალიერების ოქმი შეადგინეს, რომლის თანახმად, ამ ჟურნალებში რეგისტრირებული მხატვრების ფერწერული ტილოები „ზომით“ არ ემთხვევა ნ. გოდერიძის დახასიათებულსო, აქედან გამომდინარე კი ნ. გოდერიძეს მოსე თოიძის და ციმაკურიძის შესრულებული ფერწერული ტილოები არ ჰქონდა და ვერც დაკარგავდაო. უფრო მეტიც: მაღაზიის დირექტორი ლაღიძე, ექსპერტი შანიძე, მუზეუმის თანამშრომლები ნანა ლამხი და სხვები თავგამოდებით ამტკიცებენ არაერთ ჩვენებებში — მაღაზიაში ორიგინალის გაყიდვა არ შეიძლებოდა, ასეთი თუ აღმოჩნდებოდა, აუცილებლად მუზეუმი შეიძენდაო... მუზეუმის კომპენტენტურმა პირებმა ნოდარ ლომოურმა და ნ. ოქროსცვარიძემ კი ცნობილი მხატვრების სახელები ისე შელახეს, მათი ნამუშევრების ღირებულებას 250-დან 500 დოლარამდე ძლივს მიაღწევინეს. მინდა ვთხოვო ზაურ მაკარაძეს: მიაკითხეთ ინფრასტრუქტურის სამმართველოს და ისინი მოგცემენ დოლარის დევალვაციის ცნობას, შემდგომში რომ არ იძახოთ დოლარს დევალვაცია არ განუცდიაო.

მასვე ვაცნობებ, საქმეში არსებული კულტურის სამინისტროს, მუზეუმების, სურათების ეროვნული გალერეის გაცემული ცნობებით მხატვრების მოსე თოიძის და ალ.ციმაკურიძის შესრულებული ფერწერული ტილოების სრულყოფილი კატალოგი არ არსებობს. ეს ჩემი ბრალია? მით უმეტეს,მუზეუმში არსებული ორიგინალებიც თუ არ არის კატალოგებში? ამასთან ერთად ვეკითხები: რა, არ დაუხატავს მოსე თოიძეს „ქალის პორტრეტი“, თუ ალ. ციმაკურიძეს „ბუნების პეიზაჟი“? სანამ ამ საკითხზე დავას დაიწყებდით, ხომ არ ჯობდა, მუზეუმებში შეგეელოთ. რომ შეგეელოთ, ნახავდით და დაიჯერებდით, რომ ტყუილით თქვენ და თქვენი მოკეთენი გურამ ქარქაშაძე და რეზო შარამენიძე. საქმეში რომ ჩაგეხედათ, იმ მასალებსაც გაეცნობოდით, რომლის თანახმად ჩემი მეზობელი გუგული შალამბერიძე და მისი რძალი ოროთახიან ბინას მთხოვდნენ სიმართლის დადასტურებაში, მაგრამ ხელს გაძლევდათ თქვენ ამის დანახვა?

„ბატონო“ ზაურ! არც გამომძიებელ წამალაშვილს, არც თქვენ და არც შს სამინისტროს მუშაკებს სინდისის ქენჯნა არ გიგრძვნიათ, როცა წერთ ნ. გოდერიძეს თავისი ნივთები 5-6 წლის შემდეგ გაახსენდაო, მაშინ, როდესაც საქმეში დევს ჯემალ გახოკიძის, ბადრი ხვანიძის, ლეფსაიას და სხვათა ჩემდამი იმპლატორში გამოგზავნილი არაერთი წერილი, რომლითაც ნივთების შენახვას მატყობინებენ 1989-90 წლებში. ყველა სადაოო 31 ნივთზე 1990-91 წლებში გურამ ქარქაშაძეს, რეზო შარამენიძეს დაკითხული ჰყავთ მოწმეები, რომელთა ჩვენებები საქმეშია და ნივთების სიაც. და, თუ, სურათებზე, სპილოს ძვლის ჩადრაკზე და სხვა ნივთებზე დავა არ მიმდინარეობა, ამ ნივთების სია საიდან იყო საქმეში, ან დაკითხვები საიდან გაჩნდა?

საქართველოს გენერალურმა პროკურორმა ჯ. ბაბილაშვილმა 1994 წლის ივნისში წერილი გაუგზავნა შს მინისტრს შ. კვირაიას და დადასტურებულად ცნო რა ჩემი პირადი ნივთების დაკარგვის ფაქტი, მოსთხოვა მათ ჩემთვის ზარალის ანაზღაურება, საიდანაც პასუხად გამომძიებლის დადგენილება მოითხოვეს. შს სამინისტროს 1994 წლის 19 აგვისტომდე ჩემი პირადი 31 დასახელების ნივთი სადაოდ არ გახდა, როცა გაჩნდა ღირებულება, დავაც მხოლოდ მაშინ დაიწყო. აქ კი ზურგი გაუმაგრეს ერთმანეთს ნანული ჭიჭინაძის მაფიამ და პოლიციამ, რომლებსაც სულ სჭირდებოდათ ერთმანეთი და, მით უმეტეს, ახლა.

ზაურ მაკარაძეს ჩემთვის არანაირი სალანძღავი სიტყვები არ ენანება, ღვარძლით სავსე წერილში სახელმწიფო ქონების მიტაცებელთან მიწოდა სხვა „სიკეთესთან“ ერთად, მაშინ, როდესაც 1993 წლის 12 ივნისის დადგენილებით საქ. პროკურატურამ უდანაშაულოდ მცნო (ავტორი რეზო ზარანდია), რაც პროკურატურის ძველმა და ახალმა ხელმძღვანელობამ კანონიერად და დასაბუთებულად მიიჩნია. განა ზ. მაკარაძის, თ. კვირკველიას და გ. ქარქაშაძის კომპეტენცია გენერალური პროკურორისას აღემატება? თუ არა და რატომ არ სთხოვს მათ პასუხს ცილისწამებისა და შეურაცხყოფისათვის? მე მივმართავ საქ. გენერალურ პროკურორს ბატონ ჯ. ბაბილაშვილს და ვთხოვ, მიპასუხოს დასაბუთებული დადგენილებით ჩემის 84 ფურცლიან შუამდგომლობაზე, რაც ეხება გია წამალაშვილის მიღებულ უკანონო დადგენილებას.

და ბოლოს, აქ მთავარი პირადი ნივთების საფასური არ არის, რამდენჯერ მეტსაც გადაიხდიდნენ ამ საქმით კუდამწვარი პირები, თავს შეურაცხყოფილად და პატივაყრილად რომ არ გრძნობდნენ. მათ ხელთ უპყრიათ „კანონიერების“ სადავეები, და მალაჩინოსნებს არ უნდათ, დაუშვან სამართლიანობის აღდგენის პრეცედენტი და ამიტომაც იყენებენ თანამდებობრივი ძალმომრეობის პოლიტიკას.

**ნათელა გოდერიძე.**

## ხსოვნა

### ვლადიმერ გოგავა



გარდაიცვალა საქართველოს პროკურატურის ღვაწლმოსილი მუშაკი, დამსახურებული პენსიონერი ვლადიმერ (მაცი) ბესარიონის ძე გოგავა.

დაიბადა 1920 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი.

დიდ სამამულო ომში მონაწილეობის შემდეგ 1945 წელს სწავლას აგრძელებს სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა.

1951 წლიდან პროკურატურის ორგანოებშია. წლების მანძილზე მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. იყო საქართველოს პროკურატურის განყოფილების პროკურორი, ისნის რაიონის პროკურორის თანაშემწე, საქარხნო რაიონის პროკურორის თანაშემწე, ახალი ათონის რაიონის პროკურორი, გენერალური პროკურორის უფროსი თანაშემწე.

ბატონი მაცი დაჯილდოებულია მრავალი სამთავრობო ჯილდოებით.

რთული და საინტერესო გზა განვლო მაცი გოგავამ. ყველგან, სადაც მუშაობდა, გამოირჩეოდა საქმისადმი პრინციპული მიდგომით. ძალ-ღონესა და ცოდნას ახმარდა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლას.

წავიდა ჩვენგან ჭეშმარიტი მამულიშვილი, პროფესიონალი, რომლის განვლილი გზა მისაბაძი მაგალითია ახალგაზრდა კოლეგებისათვის.

საქართველოს პროკურატურა.

### ვლადიმერ გოგავა



დიდი სამამულო ომის ვეტერანთა რიგებს გამოაკლდა ღვაწლმოსილი მებრძოლი ვლადიმერ (მაცი) ბესარიონის ძე გოგავა.

ვ. გოგავა სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა ლენინგრადში 1939 წლიდან და პირველი საბრძოლო ნათლობა ფინეთის ომში მიიღო. დაიწყო დიდი სამამულო ომი და როგორც ყველა ჯარისკაცი, ისიც ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. ის ლენინგრადის ბლოკადის მთელ მანძილზე გამოირჩეოდა როგორც 168-ე ნაწილის გამოჩინებული მზვერავი. საბრძოლო დავალების დროს ხუთჯერ იყო დაჭრილი, ცოცხლად დამარხული ამოიყვანეს სანგრიდან თანაპოლკელებმა და გამოჯანმრთელებულმა კვლავ ახალი შემართებით გააგრძელა ბრძოლა.

ომის დამთავრების შემდეგ მაცი მუშაობას იწყებს პროკურატურაში, სადაც მან 30 წელზე მეტ ხანს იმუშავა პასუხსაგებ თანამდებობებზე, ხოლო 10 წელი კი მან ადვოკატურაში მუშაობას და ახალგაზრდა იურისტების აღზრდას მოახმარა.

მადლიერმა ლენინგრადელებმა ვ. გოგავა თავიანთი ქალაქის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს, დაჯილდოვდა დიდებისა და სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენებით, იყო სამამულო ომის მეორე ჯგუფის ინვალიდი.

თავდადებული რაინდისა და გულისხმიერი მეგობრის ვლადიმერ გოგავას ხსოვნა სამარადისოდ დარჩება თანამებრძოლებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტი.

### ნინო ართმელაძე



გარდაიცვალა ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი მათემატიკის № 3 კათედრის ღვაწლმოსილი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნინო ართმელაძე.

ქალბატონი ნინო, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უმაღლესი მათემატიკის კათედრის დაარსების დღიდან, 65 წლის განმავლობაში უმწიკვლოდ ემსახურა ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. იგი იყო მაღალკვალიფიციური მათემატიკოსი, მრავალი სამეცნიერო შრომისა და სახელმძღვანელოს ავტორი. თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ადამიანმა აღზარდა ტექნიკური ინტელიგენციის მრავალი თაობა, დიდი წვლილი შეიტანა მრავალი ინჟინრის მეცნიერად ჩამოყალიბების საქმეში, რის შედეგად მოიპოვა თავისი აღზრდილებისა და კოლეგების დიდი სიყვარული და პატივისცემა.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო კადრების მომზადებაში დიდი წვლილისათვის მას მიენიჭა საქართველოს უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო მთავრობის ჯილდოებით, ორდენებით და მედლებით.

ნინო ართმელაძის ნათელი სახე მარადჟამს დარჩება მისი აღზრდილებისა და კოლეგების ხსოვნაში.

ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი;
უმაღლესი მათემატიკის კათედრა.

---

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ვალერიან ედიშერაშვილს მეუღლის

ბულიკო ივანეს ასულ ბერიძე-ედიშერაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ღრმა მწუხარებით იუწყება უზენაესი სასამართლოს წევრის ვალერიან ედიშერაშვილის მეუღლის

ბულიკო ივანეს ასულ ბერიძე-ედიშერაშვილის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო იუწყება, სამინისტროს ცენტრალური აპარატის ყოფილი თანამშრომლის ადვოკატთა კოლეგიის წევრის

გულიკო ზარულავას

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

მიშა კუპრეიშვილი ოჯახით იუწყება დის

ლენა კუპრეიშვილი-ზეზენავას

გარდაცვალებას.

## ფრთხილად! სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემა

ბოლო ხანს საგრძნობლად იმატა ხანძრების რაოდენობამ საცხოვრებელ სახლებში ინდივიდუალური გაზბალონიანი დანადგარების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და თხევადი გაზის მომარაგების სამუშაოების დროს სახანძრო უსაფრთხოების წესების დაუცველობის მიზეზით. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 3 ოქტომბრის № 719 განკარგულების შესასრულებლად დაინტერესებული უწყება — სამინისტროების მიერ მომზადდა დროებითი ინსტრუქცია: „საცხოვრებელ სახლებში ინდივიდუალური გაზბალონიანი დანადგარების მონტაჟის, ექსპლუატაციისა და გაზმომარაგების შესახებ“, მისი პრაქტიკული განხორციელებისათვის არაფერი გაკეთებულა. შედეგმაც არ დააყოვნა და შარშან რესპუბლიკაში სწორედ ამ მიზეზით რეგისტრირებული იყო ხანძრის გაჩენის 175 შემთხვევა, დედაქალაქში — 80, რომელმაც 5 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარმა სამმართველომ არაერთხელ მიმართა თხოვნით მოსახლეობას, მაგრამ...

პრაქტიკულად, არ ხორციელდება დანადგარების მონტაჟისათვის ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება, — თქვა ჩვენთან საუბარში შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს უფროსმა ჯუმბერ სურმავამ, — ამის შედეგად კი გაზის ბალონების განთავსება საცხოვრებელ ბინებში ხდება სამშენებლო ნორმებისა და წესების, გაზის მეურნეობის უსაფრთხოების წესების სრული უგულებელყოფით. ვითარებას ართულებს ისიც, რომ არ ხდება დადგენილი წესით ბალონების გამოცდა, მისი ნარჩენებისაგან გასუფთავება. ახლახან, — თქვა დასასრულ ბატონმა ჯუმბერმა, — სახაზინო საწარმოს, სახელმწიფო კომპანია „საქტრანსგაზმრეწვის“ გენერალურ დირექტორს ვ. ზაზაშვილს ვთხოვე თანადგომა, საცხოვრებელ ბინებში ინდივიდუალური გაზბალონიანი დანადგარების მონტაჟის, მისი ექსპლუატაციის სისტემაში სახანძრო უსაფრთხოების თვალსაზრისით ჯეროვანი წესრიგის დამყარება.

ჩვენის მხრივ კი ლაეძენთ, რომ ადამიანის სიცოცხლე ყველაზე დიდი განძია.ამიტომაც ეს პრობლემა მართლაც სასწრაფოდ მოსაგვარებელია.

**გულიკო მარკოზაშვილი,**
საქინფორმის კორ.

## კონტაქტები

### საჩუქარი ამერიკიდან

ამ დღეებში საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიამ (პრეზიდენტი — მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ალექსანდრე კუჭუხიძე) ამერიკის შეერთებული შტატებიდან საჩუქრად მიიღო ამ ქვეყნის მოქალაქის, ცნობილი მოქანდაკისა და ბიზნესმენის ლადო გუჯაბიძის მიერ ბრინჯაოსაგან დამზადებული საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ემბლემა.

ლადო გუჯაბიძე დაიბადა 1945 წელს. თბილისის სამხატვრო აკადემიის დამთავრების შემდეგ ჯერ საქართველოში მოღვაწეობდა, 1976 წლიდან კი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე გახდა. მალე მისი შემოქმედება მხატვრობაში, ქანდაკებასა და გრაფიკაში მთელმა მსოფლიომ გაიცნო. იგი მონაწილეობდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში გამართულ მრავალ გამოფენასა და კონკურსში, სადაც მისმა ნამუშევრებმა მრავალი ჯილდო და ოქროს მედლები დაიმსახურეს. დღეს ისინი ამშვენებენ მსოფლიოს მრავალი ქვეყნის როგორც საჯარო, ისე კერძო კოლექციებს.

ლადო გუჯაბიძე მარტო აღიარებული ხელოვანი კი არა, დიდი ბიზნესმენიცაა — არის „არტ დე ლუქსის“ კომპანიის პრეზიდენტი (იგი საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრიც გახლავთ).

აკადემია მისგან დღე-დღეზე ახალ საჩუქარს — აკადემიის ნამდვილ წევრთა და წევრ-კორესპონდენტთა სამკერდე ნიშანს ელოდება, ელოდება მისი მოხსენების ტექსტსაც თემაზე „ხელოვნება და ბიზნესი“, რომელიც მან უნდა წაიკითხოს საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მუდმივმოქმედ სადისკუსიო კლუბში.

**გიორგი ჯულაყიძე,**
საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, აკადემიკოსი.

## ჩოგანი

### იტალიელთა ზეობა „უემბლიზე“

**ინგლისი — იტალია 0:1**

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ინგლისის ნაკრები „უემბლიზე“ იტალიას მასპინძლობდა. როგორც ფეხბურთის გულშემატკივარმა იცის, ისინი ჩვენს ნაკრებთან ერთად II შესარჩევ ჯგუფში ასპარეზობენ.

მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ინგლისელთა შეტევებით დაიწყო, იტალიელები კი სწრაფი კონტრშეტევებით პასუხობდნენ. პირველივე წუთებში შეეძლოთ მასპინძლებს ანგარიშის გახსნა, მაგრამ... მეოცე წუთზე გოლი საკუთარ კარში მიიღეს. ეს ასე მოხდა: იტალიელთა მცველმა კოსტაკურტამ მოედნის სიღრმიდან გრძელი პასით მეტოქის საჯარიმოში „იპოვა“ ძოლა, იგი შემოტრიალდა და ბურთი ახლო კუთხეში დაარტყა — 1:0. ამის შემდეგ ხუთ წუთში კიდევ ერთხელ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება ძოლას, მაგრამ ამჯერად უოქერმა იოქაკაცა, რომელიც ტრავმირებული სიმენის ნაცვლად იცავდა ინგლისელთა კარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრავმების გამო სიმენის გარდა ამ მატჩში მონაწილეობა ვერ მიიღეს მასპინძელთა კიდევ ორმა წამყვანმა ფეხბურთელმა — გასკოინმა და ადამსმა.

ძოლას გოლის შემდეგ ინგლისელთა შეტევები კიდევ უფრო მძაფრი გახდა. ტაიმის მიწურულს გოლის გატანის შესანიშნავი შანსი გაუშვა ხელიდან ლე ტისიემ, მისი დარტყმული მიზანს აცდა.

მატჩის მეორე ნახევარშიც ბევრს ეცადნენ ინგლისელები, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს ამ დღეს შესანიშნავად მოთამაშე იტალიელთა მეკარის ანჯელო პერუცის წინააღმდეგ.

ძოლას მიერ პირველ ტაიმში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში. იტალიელები 9 ქულით (3 მატჩში) სათავეში ჩაუდგნენ გათამაშების ცხრილს, ამდენივე ქულა აქვთ ინგლისელებსაც, მაგრამ მათ ერთი თამაშით მეტი აქვთ ჩატარებული.

ამ დღეს გაიმართა კიდევ ერთი შესარჩევი მატჩი. ესპანელებს არ გაჭირვებიათ მალტის ნაკრების დამარცხება — 4:0.

## ამინდი 14 თებერვალს

დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით 0 +5, დღისით +10 +15, მთაში — ღამით -2-7, დღისით +3 +8, მაღალმთაში — ღამით -8 -13, დღისით — -3 +2 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში იქნება უნალექო ამინდი, გზებზე ლიპყინული, სუსტი ქარი, ტემპერატურა ბარში — ღამით -3-8, დღისით +5 +10, მთაში — ღამით -7-12, დღისით +2 +7, მაღალმთაში — ღამით -11-16, დღისით 0-5 გრადუსი.

თბილისში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, ტემპერატურა — ღამით -3-5, დღისით +8 +10 გრადუსი.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა“

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, დავით იაკობიძე, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები — „საქართველოს რესპუბლიკის“ ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბაში, ხოშარაულის 29.